# ტალღა

ცალკე ნომერი 5 კაპ.

თ ფ ი ლ ი ს ი

ოთხშაბათი 29 (12) ნოემბერი.

1906

წელიწადი პირველი

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან. ექვსი თვით 4 მან. ერთი თვით ქალაქში 70 კ. ქალაქ გარეთ 80 კ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა სუფთათ იყოს გადაწერილი. დაუბეჭდავი სტატიები და ვრცელი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში.

დაუბეჭდავი კორესპონდენციები და წვრილი წერილები რედაქციაში არ ინახებიან და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა 7 კ. მარკა.

დაუბეჭდავ წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმე დღეობით დილის 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ. მეოთხე გვერდზე 10 კ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, რედაქცია „ტალღა“.

№ 35 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 35



30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის ქუჩაზე სახლი № 65, დაც „შრომის“ სტამბაა. დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა-უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე და წიგნის მაღაზია „ოპრაზოვანიე“-ში მიხ. ქუჩაზე.

**გაზეთის ფასი**: ერთი თვით—ქალაქში 70 კ., პროვინციაში—80 კ.

15 ნოემბრიდან წლის დამლევამდე 1 მანეთი. ქალაქ გარეთ 1 მ. 30 კ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.


„ტალღის“ რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

რედაქცია ამით აუწყებს, რომ პირველ დეკემბრიდან მოესპობა გაზეთის გზავნა ყველა იმ ხელის მომწერლებს, ვისაც დეკემბრის ხვედრი ფული არ გადაუხდია.


## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის

დიდვანქის ქუჩა სახლი № 5.

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ტ. ი. რუდენკო—შინაგანი სნეულებანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. პ. ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

ექ. მ. ი. იაჩნევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. პ. პ. პნუკოვი—ქირურ. და საშორდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. მ. ასპისოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. პ. გ. ბოგოვსკი—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თეთრაძე—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. პ. ი. ინაევი—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკევობით 3—4 ს.

ექ. ა. ა. მონხი.—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ტ. როზმაისკი—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. ნეუმინი—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ექ. ზ. ფ. ნივზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. კ. მ. პიჰარსკი

ექ. კ. ი. ჩუდნოვსკი კლინიკური ანალიზი.

ექ. ზ. ი. ოსოზკო—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

## კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.


## კიდევ გლეხები და საარჩევნო კამპანია

—

წინეთ ვწერდით, რომ მთავრობის ძალმომრეობას, გლეხკაცობამ აქედანვე უნდა თავის ძალა დაუპირდაპიროს; ხალხის, მასსის ძალა კი შეგნებაში და ორგანიზაციაშია. სოფლის სიმაგრე—ეს მათი ორგანიზაციული კავშირის სიმაგრეა. ამ მხრით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ორგანიზაციულათ მოწყობას და განსაკუთრებით საარჩევნო კომისიების დაარსებას. საარჩევნო კომისიებით უნდა დაიფაროს მთელი მაზრები, საზოგადოებები, სოფლები; ის უნდა მიწვდეს ყველგან, ყოველ კუთხეში და ეცადოს, რომ არც ერთმა გლეხმა არ დაკარგოს თავის საარჩევნო ხმა, არც ერთი გლეხი არ შედრკეს პოლიციის [illegible]რის წინაშე!

[illegible]რა ღირს კი დუმისათვის ამდენი შრომა გაწევა? განა დუმას ასეთი მნიშვნელობა აქვს მთელი ხალხისთვის და კერძოთ გლეხობისთვის, რომ მასში ჩვენი მომხრე დეპუტატების გაყვანას შევალიოთ ჩვენი ძალა და ენერგია?

დიახ, სახელმწიფო დუმას მხოლოდ ასეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მის ავკარგიანობაზე დიდათაა დამოკიდებული „მიწის და თავისუფლების“ მოპოვება.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მთავრობა მეორე გზას ადგია და გლეხებზე მიწების ახლავე გასაღებით ცდილობს მათ დამშვიდებას; ვნახეთ აგრეთვე, რამდენათ მაზარალებელია გლეხობისათვის მთავრობის ასეთი რეფორმები. გლეხების ინტერესები თხოულობენ, რომ მათ გადაეცეს მთელი მიწა სრულიად უსასყიდლოთ. ამ მიზნის მისაღწევათ იბრძვიან დღეს გლეხები, ამისათვის იტაცებენ მიწებს, ტყეებს, მამულებს და ერეკებიან იქიდან მუქთახორა მემამულეებს. მარა, რომ მიწები უსასყიდლოთ შერჩეს გლეხებს, საკმარისი არაა რევოლიუციური გზით მათი დატაცება; ბურჟუაზიული კლასები და მემამულეები ვერას გზით ვერ მოინელებენ ვიღაც „სოფლის ტეტიებისაგან“ მათი წმიდათა წმიდის შელახვას, კერძო საკუთრების ხელის შეხებას. და ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რომ მათ მიწები უკანვე წაართვან და ამნაირათ მემამულეების კერძო საკუთრება ისევ აღადგინონ. ამისთვის ისინი გამოიყენებენ მთელ სახელმწიფოს, თავის ჯარებით და პოლიციელებით, ამისთვის ისინი გამოიყენებენ ახალ მთავრობას, ხალხის მიერ არჩეულ „დუმას“, რომ მისი საშუალებით თვითონ ხალხი ცალიერზე დასვან.

აშკარაა, თუ ხალხს უნდა თავის მიზანს მიაღწიოს, თავის ოფლით და სისხლით მორწყული მიწა თვითონვე შეინარჩუნოს, ის უნდა ეცადოს სახელმწიფოს სათავე, მისი ბედის მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდოს, ესე იგი სახელმწიფოში გაბატონდეს და მისი ძალები თავის სასარგებლოთ აამოძრაოს.

რევოლიუცია არ თავდება მიწების დატაცებით, რევოლიუცია არ თავდება თავად-აზნაურების მამულებიდან გარეკით. არა, ეს მხოლოდ დასაწყისია რევოლიუციის, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი ბრძოლის, რომელიც უნდა მთელი წყობილების შეცვლით, მთელი სახელმწიფოს გადაბრუნებით დაგვირგვინდეს. სანამ დღევანდელი მთავრობა თავის ძალაშია, ყოველგვარი დატაცება მიწის, მხოლოდ დროებით ჩაუგდებს მას ხელში გლეხკაცობას. საკმარისია მთავრობამ ისევ ძველებურათ მოითქვას სული, საკმარისია ისევ მოიკრიბოს თავის შავბნელი ძალები და გლეხების სისხლით და ბრძოლით მოპოვებული მიწა ერთი დაკვრით უკანვე წაერთმევა. ასეთ რეაქციას თან მოყვება აგრეთვე დარბევა-აწიოკება, წარსული წლების ბეგრების გადახდევინება და სხვა, ასე რომ გლეხს თავის წინანდელი ბრძოლა უქმათ გაუვლის და სიხარული სიმწარით შეეცვლება.

ლიბერალური ბურჟუაზია მისცემს მიწას გლეხობას, რადგან მათ უნდათ გლეხების დაკმაყოფილება გამოყიდული მიწებით. გამოყიდვა კი უნდა მოხდეს ხაზინის ფულით, ე. ი. იმავე გლეხების ხარჯზე. ასე რომ, ეს მხოლოდ თვალის ახვევა იქნება გლეხების და მეტი არაფერი. მათ ჩუმათ ფულს გადაახდევინებენ და შემდეგ ამ ფულით იყიდიან მიწას. მარა გატყაულ გლეხებს რაღა ფულის გადახდა ესაჭიროება. მათ განა ცოტა ოფლი ჩაუსხამთ ამ მიწაში? განა არ კმარა, რაც აქამდე აძლიეს ხაზინას, მემამულეს, მღვდელს, ბერს, რომ ახლა კიდევ ორკეცი ტყავი არ ააძრონ ზურგზე? არა მათ მიწა უნდა უფასოთ მიიღონ და უნდა თვითონ მოიხმარონ, როგორც სურთ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის განმათავისუფლებელ ბრძოლიდან გამარჯვებული რევოლიუციური ხალხი გამოვა, და მთელი სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე იქნება აგებული, ერთი სიტყვით, თუ რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამასთან დღევანდელ დუმას, რომელიც არც დემოკრატიულია და არც კანონმდებელი? მისი არჩევნები უსწორ-მასწორო და მახინჯია, აშკარაა, ასეთი არჩევნების წყალობით შიგ მხოლოდ მდიდრების ბატონობას ექნება ადგილი და განა ისინი გაიმეტებენ გლეხებისათვის „მიწას და თავისუფლებას“? განა ისინი კი არ ეცდებიან ისევე მოატყუონ ხალხი, როგორც დღევანდელი მთავრობა ატყუებს? მართალია, დუმას თავისთავათ არაფრის მიცემა არ შეუძლია ხალხისათვის, იმ მიზნით იქ დეპუტატების გაგზავნა, რომ დუმა მოგვიტანს თავისუფლებას და დაგვიმტკიცებს მთელ მიწასო, საზარალო ოცნება იქნება! ასეთი იმედი მალე გაგვიცრუვდება და შეიძლება ბევრს გული გაუტეხოს და ენერგია წაართვას საბრძოლველათ. საჭიროა სწორათ და ნათლათ ვხედავდეთ პირში სინამდვილეს. სახელმწიფო დუმა მოკლებულია საკანონმდებლო უფლებას, მას თავს ადგია ისეთი სვავ ყორნები, როგორც სტოლიპინის მთავრობა; ესეც არ იყოს, ის არ არის დემოკრატიულათ არჩეული და ამიტომ ის ვერ მოგვცემს ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას. მას შეუძლია მხოლოდ დაგვეხმაროს ამათ მოპოვებაში, მას შეუძლია მხოლოდ გაგვიადვილოს ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის.

ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მათთვის მიწის და თავისუფლების მოპოვება შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, რომელიც არჩეულ იქნება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ჩვენი მიზანიც დამფუძნებელი კრების მოწვევაა, დუმა კი მხოლოდ გზათ და ხიდათ უნდა გამოგვადგეს ასეთი დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ.

ამიტომ დუმას უნდა ვუყუროთ, როგორც რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას, შიგ უნდა გავგზავნოთ ისეთი დეპუტატები, რომელნიც ეცდებიან, რომ დუმამ ძველი მთავრობა გააუქმოს და დამფუძნებელი კრება მოიწვიოს. მარა ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა თვითონ ხალხმა აქტიური დახმარება გაუწიოს თავის დეპუტატებს, მხარი დაუჭიროს მათ ბრძოლაში, საჭიროა, მთელი ხალხი მოემზადოს შეგნებით, გაამაგროს და გააძლიეროს თავის ორგანიზაციები, და ასე მზად იყოს საბრძოლველათ, რომ დუმის ყოველ პროგრესიულ მოთხოვნაზე თავის ძლიერი მოთხოვნით ზურგი გაუმაგროს. საჭიროა კიდევ მეტი: მათ უნდა თვალყური ადევნონ დუმის მოქმედებას და მოსთხოვონ მას ისეთი მოთხოვნების წამოყენება, ისეთი გზით წასვლა, როგორიც ხალხისთვის სასარგებლო იქნება.

მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება გამოსადეგი დუმა ხალხისათვის, მხოლოდ ასეთ პირობებში ვერ გაუბედავს მას დაშლას მთავრობა და პირიქით თვითონ ბიუროკრატიული წეს წყობილება დაინგრევა და მოისპობა მთელი საზოგადოების მძლავრი შეტევით.

## პარტიის ცხოვრებიდან

—

რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი მიმართვა ორგანიზაციებისადმი.

პატივცემულო ამხანაგებო!

ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარ პარტიულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ ორგანიზაციების თვითეულ წევრისათვის სავალდებულოა ყველა ის გადაწყვეტილება საარჩევნო კამპანიის შესახებ, რომელსაც მიიღებს კომპეტენტური ორგანო ადგილობრივ ორგანიზაციებისა ცენტრალური კომიტეტის საზოგადო დირექტივების ფარგლებში.

ემხრობა რა სრულებით ამ რეზოლიუციას, ც. კ. საჭიროთ სთვლის, მიმართოს ადგილობრივ ორგანიზაციებს რამოდენიმე კერძო განმარტებებით და უჩვენოს ის ფორმები, რომელიც უზრუნველ ყოფს საარჩევნო კამპანიის საჭირო ერთგვარობას.

გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ საჭიროა სათანადო გავლენა და ავტორიტეტი ქონდეს ადგილობრივ ორგანიზაციების გადაწყვეტილებას საარჩევნო კამპანიის კითხვებში, ც. კ. ორგანიზაციის ასეთ კომპეტენტურ ორგანოთ სთვლის კონფერენციას, რომელიც შეძლების და გვარათ დემოკრატიულათ უნდა იყოს მოწყობილი. ყველა ის კითხვები კი, რომელიც კონფერენციაზე იქნება განხილული, საჭიროა წინდაწინ გარჩეულ იქნეს ორგანიზაციის იაჩეიკებში. ამიტომ ც. კ. წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს მოიწვიონ განსაკუთრებული კონფერენციები, რომელიც გადასწყვეტს პარტიებთან შეთანხმების, ამ შეთანხმების პრაქტიკულათ გაყვანისა, პარტიული კანდიდატებისა და სხვა საკითხებს. აგრეთვე სასურველია, რომ ასეთი კონფერენციები მოწვეულ იქნეს იმ დროს, როდესაც საარჩევნო კამპანიის მსვლელობა საკმარის მასალას გვაძლევდეს საქმის ფაქტიურ მდგომარეობის გამოსარკვევათ.

იღებს რა მხედველობაში, რომ თვითეულ საარჩევნო ოქმში თავისებური პირობებია, მეორეს მხრით, რომ საარჩევნო ტაქტიკის სხვადასხვაობა ერთ და იმავე ოლქის სხვადასხვა ადგილებში ძლიერ დააბრკოლებს კამპანიის გაყვანას, ც. კ. ფიქრობს, რომ საარჩევნო კამპანიის კითხვების გადაჭრა უნდა შეეფარდოს საარჩევნო ოლქების საზღვრებს; პარტიული ორგანიზაციების ჩარჩოები კი უნდა გაფართოვდეს ან შევიწროვდეს საარჩევნო ოლქების მიხედვით.

ყველა ამ მოსაზრებით ც. კ. ურჩევს ორგანიზაციებს მოიწვიონ კონფერენციები შემდეგი წესით:

1. მსხვილ ქალაქებში, რომლებიც დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქს შეადგენენ, ხდება კონფერენცია, რომელიც წარმოადგენს ყველა იმ რაიონებს, რომლებიც ქალაქის ოლქში შედიან.

ამ კონფერენციის გადაწყვეტილება სავალდებულოა ქალაქის ყველა ნაწილებისათვის.

2. დანარჩენ საარჩევნო ოლქებში (გუბერნიებში) ტეხნიკური პირობების მიხედვით მოწვეულ უნდა იქმნას საგუბერნიო კონფერენციები, რომლებიც წარმოადგენს ამ გუბერნიებში ყველა არსებულ ორგანიზაციებს. ამასთანავე თუ გუბერნია ერთ პარტიულ ორგანიზაციის საზღვრებში შედის, კონფერენციის დადგენილება სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა ნაწილებისათვის. მაგრამ თუ გუბერნიაში არსებობს ორი ან მეტი ორგანიზაცია, ც. კ. დაბეჯითებით ურჩევს ცალკე დამოუკიდებელ ორგანიზაციებს აღიარონ თავისთვის სავალდებულოთ საგუბერნიო კონფერენციის დადგენილებები. თუ ასეთი შეთანხმება სხვადასხვა ორგანიზაციებისა ერთ საარჩევნო ოლქის საზღვრებში არ მოხერხდა, უნდა შესდგეს ნაწილის (УЧАСТОКЪ) კონფერენცია. ამ უკანასკნელის დადგენილებები კი სავალდებულოა ყველა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ამ ნაწილში მუშაობენ.

ნაწილის კონფერენციები უნდა მოწვეულ იქმნას აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საგუბერნიო კონფერენციების მოწვევა ტეხნიკური პირობების მიზეზით შეუძლებელია.

**ბათუმი.** ამას წინეთ ერთ ერთ კრებაზე ბათუმის კომიტეტი შეეხო და გაარჩია სხვათა შორის ერთი რაიონული ორგანიზაციის რეზოლიუცია, რომლითაც წინადადება ეძლეოდა კომიტეტს ხელმძღვანელობა გაეწია წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის ფართო რევოლიუციონური თვითმართველობის მოწყობის საქმეში. კომიტეტმა ცოტა კამათის შემდეგ ერთხმათ მიიღო წინადადება და ამის სისრულეში მოსაყვანათ გამოყო ცალკე კომისია 5 კაცისაგან.

ამ უკანასკნელ დღეებში კომიტეტმა განიხილა საკითხი ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შესახებ და შემდეგ კაი ხნის მსჯელობისა მიიღო გადაწყვეტილება: საჭიროა ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაცია ჩაერიოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქალაქის არჩევნებში, ისარგებლოს ამ არჩევნებით, როგორც სააგიტაციო და საპროპაგანდო საშუალებით, თავიდან ბოლომდის დამოუკიდებლათ გამოვიდეს, არ შეკრას ბლოკი არც ერთ პარტიასთან და ეცადოს ს.-დემოკრატ კანდიდატების გაყვანას ხმოსნებათ ქალაქის საბჭოში. საარჩევნო ბრძოლის საწარმოებლათ დანიშნა კომისია, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. დაშნაკცუტიუნის პარტ. ორგანიზაცია სერიოზულათ ემზადება არჩევნებისათვის. ხმოსანთა არჩევნები 9 დეკემბრისთვისაა დანიშნული.

შემდეგ გაირჩა საკითხი სომეხ-ნაციონალურ სოციალდემოკრატიულ ჯგუფთან საარჩევნო კამპანიის დროს ბლოკის შეკვრის შესახებ. კამათმა ორი მიმდინარეობა გამოარკვია; ერთნი ამტკიცებდნენ: ადგილობრივი პირობები ისეა მოწყობილი, რომ უსათუოთ უნდა შევკრათ ბლოკი არჩევნების პირველსავე საფეხურზე. მეორენი მიდიოდნენ ამის წინააღმდეგ. კითხვის გადაჭრის დროს ხმები დაიყო. კითხვა გადატანილ იქნა ორგანიზაციის წევრებში.

გადაწყდა აგრეთვე გადაიბეჭდოს და გამოიცეს, რაც შეიძლება მალე, ფურცელი „საარჩევნო ბრძოლის შესახებ“ ამიერ-კავკასიის სოც.-დემ მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტისა.

## საარჩევნო კამპანია

—

**განმარტებანი და ინსტრუქცია.** 25 ნოემბერს ტფ. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორისაგან მიიღო საარჩევნო სიების შედგენის დროს სახელმძღვანელოთ გამოცემული განმარტებანი სენატისა. გუბერნატორი ამასთან სწერს, უეჭველად დონე იხმარეთ, რომ საარჩევნო სიები ეთანხმებოდეს ამ განმარტებასაო. გუბერნატორმა გაგზავნა სამინისტროს მიერ დამტკიცებული დამატება საარჩევნო სიების შედგენის დროს სახელმძღვანელოთ გამოცემულ ინსტრუქციისა. დამატება შეეხება ინსტრუქციის მე 4 მუხლს. ამ დამატებით, თუ მოიჯარადრეს ან მამულის გამგეს არ უნდა დაკარგოს საარჩევნო უფლება, უნდა უსათუოთ სიების შემდგენელ კომისიას წარუდგინოს მოწმობა პოლიციისა, მამასახლისისა ან სხვა რომელსამე თანამდებობის პირისა, რომ იგი ერთ წელზე ნაკლები არაა, რაც მამულის მოიჯარადრეთ ან გამგეთ არის.

—

პეტერბურგის გუბერნატორმა სვერობა უფროსებს და პოლიცმეისტრებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომელიც ამბობს, რომ 17 ოქტომბრის კავშირი არ წარმოადგენს მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიას.

—

ამას წინათ კიევის გუბერნატორმა ვერტენნიკოვმა გამოარიცხვა საარჩევნო სიიდან 13000 ბინის დამქირავებლები, რახან მათ პოლიციის მოწმობა არ წარუდგინათ.

სტოლიპინმა გუბერნატორის ეს განკარგულება გააუქმა.


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

### თფილისის გამგეობა ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირისა.

17 ნოემბერი 1906 წ.

ძვირფასო ამხანაგებო! სარატოვში გაფიცულია ბეჭდვითი საქმის მუშები. 400 კაცი აგერ 46 დღეა აღარ მუშაობს. მიზეზი გაფიცვისა ის არის, რომ ხაზეინებს უნდათ შემოიღონ ცხრა საათის სამუშაო დღე უკვე არსებულ 8 საათ. სამუშაო დღის მაგიერ. ბრძოლა მწვავეა და ყველა ჩვენთვის დიდათ საყურადღებო. გაფიცვის დაწყების დროს სარატოვის კავშირის კასაში მხოლოდ 200 მანეთი იყო, რომელიც უკვე დიდი ხანია სრულიად დაიხარჯა, ხოლო ბრძოლა თანდათან მწვავდება. რომ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ, სარატოვის კავშირი მიმართავს ყველა ამხანაგებს და მოუწოდებს დახმარება აღმოუჩინონ ამ უთანასწორო ბრძოლაში.

მოსკოვისა და პეტერბურგის კავშირებმა უკვე გამოგვიწოდეს ხელი. პირველმა 100 მანეთი უკვე მოგვაწოდა და დახმარებასაც შეგვპირდა, პეტერბურგმა გამოგვიგზავნა 50 მ., ხოლო 50 საც მალე მოგვაწვდიან. მაგრამ ეს საკმარისი არაა. გაფიცულია 400 კაცი. თუმცა გაფიცულნი ჯერ-ჯერობით ბრძოლის გუნებაზე არიან, მაგრამ შიმშილმა შეიძლება გასტეხოს ისინი და კავშირი დამორჩილდეს, რაც სიკვდილის თანაბარია. სარატოვის კავშირის ბურჯი მთელი ვოლგის ხეობისა. ამხანაგებო, მხარი მიეცით სარატოველებს! განიჩილეთ დაუყონებლივ ეს მოწოდება და ნუ დააყოვნებთ დახმარებას, გამართეთ აგრეთვე ხელის მოწერა სტამბებში. თითოეული წამი ძვირფასია. თქვენც არა ერთხელ გამოგიცდიათ ასეთი ბრძოლა, იცით რა ძვირფასია თითოეული კაპეიკი. იცით აგრეთვე რა ზნეობრივი გავლენა აქვს ამხანაგების დახმარება-თანაგრძნობას.

მაშ ეგრე ამხანაგებო! დაეხმარეთ სარატოველებს.

# ახალი ამბები

✦ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გორის მაზრაში **სამხედრო-საველე სასამართლოში** მიუციათ: კტუშ ბატარაძე, მიხეილ ზეკალაშვილი, ივანე ზეკალაშვილი, ლუკა ჯაფიაშვილი, რეზო თადიაშვილი, გიორგი შათბერაშვილი, ვასილ მინდიაშვილი, ალექსანდრე შალიბეგოვი, ივანე ედილაშვილი, ივანე თედიაშვილი, იასე ლონდაძე და ანდრია ზენუაშვილი სოფ. ბრეთში თავ. ავალიშვილის სახლზე თავდასხმისთვის. სასამართლომ განიხილა ეს საქმე და გადაუწყვიტა: ლენტო თადიაშვილს და ლუკა ჯაფიაშვილს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და დახვრეტა, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს დილის 4 საათზე, კტუშ ფტარიძეს უვადო კატორღა, დანარჩენები გაამართლეს.

✦ ვლადიკავკაზში **სამხედრო სასამართლოში მისცეს 235 სალდათი** სამურის პოლკისა 17 ივლის დეშლაგარში მომხდარ აჯანყების გამო.

✦ ორშაბათს, 27 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, პირველ საპოლიციო ნაწილში, ოლგის ქუჩაზე, ელექტრონის ტრამვაის ვაგონიდან ვიღაც ახალგაზდა ყმაწვილმა **ორჯერ ესროლა რევოლვერი** პოსტზე მიმავალ გოროდოვოის და მსუბუქათ დასჭრა. გოროდოვოი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს, მსროლელი კი მიიმალა. ამბობენ, ეს ერთი იმ პოლიციელთაგანია, რომელიც ამაწინათ იცავდა პირველ საპოლიციო ნაწილს თავდასხმის დროს.

✦ **კიზიკიშლიაგიდან** (ერევნის გუბერნია) გვატყობინებენ, რომ იქ ბოროტგანმზრახველებმა ამოსწყვიტეს ერთი სომხის ოჯახი, რომელიც ოთხი სულისაგან შესდგებოდა. ბოროტგანმზრახველთ მიზნათ ქონდათ მოკლულთა ქონების დაპატრონება. დაიჭირეს ოთხი კაცი.

✦ ამას წინათ თფილისის მეორე გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფეებმა **მოთხოვნები წარუდგინეს** პედაგოგიურ საბჭოს. მოწაფეები ითხოვდენ დაეთხოვათ მათემატიკის მასწავლებელი ალექსანდრე პეტრესძე ანდრეევი. პედაგოგიური საბჭო აგერ ერთი კვირაა, რაც ამ საქმეს არჩევს და გუშინ კი უკანასკნელათ გამოუცხადეს მოწაფეებს, რომ საბჭო აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას და ა. პ. ანდრეევს ითხოვს.

✦ ამ დღეებში თფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე თფილისის მცხოვრების ფორაქაშვილისა, რომელიც თფილისის ქალაქის გამგეობისაგან პასუხ-გებაში იყო მიცემული ქუჩის პირათ რამდენიმე **ხის მოჭრისათვის**. სასამართლომ დამნაშავეთ სცნო ფორაქაშვილი და ქალაქის ქუჩაზე ხეების მოჭრისათვის 70 მ. დააჯარიმა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოს სხვადასხვა **საჭირო ქაღალდების ბეჭდვა** რკინის გზის სამინისტრომ „სეპ ქართველთა გამომცემელ ამხანაგობას მიანდო. როცა ეს გაიგეს ხერატუროვს, სამინისტროსთვის მიუმართავს თხოვნით, ამხანაგობაზე სამი პროცენტით ნაკლებ ავიღებ სამუშაოს, ვიდრე ამხანაგობაო და მე დამითმეთ 5 წლითო.

✦ გუშინ, 28 ნოემბერს, დილ-ს 7 საათზე, კიროჩნი ქუჩაზე, პოლიციამ გაჩხრიკა **კაიდანოვის** წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქვე ვერა იპოვნეს-რა დააპატიმრეს შემთხვევით იქ მყოფი კაცი. წაიღეს 40 ც. სახელმწიფო დუმის შრომის ჯგუფის სურათი, კრაპოტკინის „ზაპისკი რევოლიუციონერა“ და სხვა ლეგალური გამოცემანი, რის შემდეგაც მაღაზია და ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაბეჭდეს.

✦ თფილისში დაარსდა **პროფესიონალური კავშირი** კანტორებში და ბანკებში მოსამსახურეებისა. დამაარსებლები ენერგიულათ შეუდგენ საქმეს და იმედია კავშირის განვითარება ჩქარი ნაბიჯით წინ წავა.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში მალაკნების ქუჩაზე ვიღაც უცნობი კაცი საღამოს 6 საათზე წამოეწია პოლიციის **უბნის ზედამხედველ** ვლადიმერ ხრენოვს და სამჯერ რევოლვერი დაახალა. ერთი ტყვია ხრენოვს ბარძაყში მოხვედრია, ხოლო ორი გვერდში. ერთი ტყვია გავარდნილა მეორე გვერდში და იქვე მდგომ მეეზოვეს ნოვახატის მოხვედრია და ისიც დაჭრილა. დაჭრილები მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. ვ. ხრენოვი გზაზე გადაიცვალა.

✦ გუშინ ახალ ამბავში გვქონდა, რომ **ზარიძე და გრიგორიანცი** დაპატიმრებულნი და პასუხის გებაში არიან მიცემულნიო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ზემო აღნიშნულნი არც დაპატიმრებულნი და არც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი.

✦ გუშინ თფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა 62 ტრაქტირის, სასმელ დუქნებისა და ღვინით სავაჭრო სარდაფების **დასაკეტათ**, რადგანაც აღნიშნულ სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებმა დროზე არ გადაიხადეს მათზე დარჩენილი გადასახადები.

✦ ქალაქის გამგეობის საბუღალტერო განყოფილებისაგან შეკრებილ ცნობებით 1906 წლის 1 იანვრიდან ნოემბრის 26 დე **ქალაქის კასაში შემოსულა** სატრაქტირო გადასახადებისა 43409 მან., ცხენებსა და ეკიპაჟებზე გადასახადისა—30738 მან., ქალაქის საიჯარო მიწებიდან—34964 მან., ქალაქის წყლის მილისაგან—238730 მან., ქალაქის საყასბოსაგან 47040 მან. და სხვ. სულ შემოსულა 909,497 მან. ამავე ხნის განმავლობაში 1905 წელს შემოსულა გაცილებით ნაკლები.

✦ ითარგმნება და გამოვა „რუსეთის ყველა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების პლატფორმა“.

✦ ითარგმნება და მალე დასაბეჭდათ მზათ იქნება: „როგორ უნდა მოიპოვოს გლეხებმა მიწები?“ მასლოვისა,

✦ იბეჭდება და მალე გამოვა ქართული წიგნების კატალოგი.

### ქუთათურის შენიშვნები *)

(ქალაქის არჩევნების გამო).

შედეგი ქუთათურ ახლანდელ არჩევნებისა ის **არის**, რომ მეკენწლეებმა არ ისურვეს ერთი უკიდურესი პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის საბჭოში ყოლა, მეორესი მხოლოდ ხუთიოდე გაიყვანეს და სხვა სულ თავისიანები—დიდი ადგილების, ბევრი ფულების, ჩინების და მდგომარეობის მქონე და საზოგადოთ ბიუროკრატიაში ცნობილი დააჯილდოვეს ხმოსნობის ხარისხით. ხალხის ინტერესების გაბედულათ დამცველთ კი უმტყუნეს და ამნაირათ ქანი იყარეს გულში ჩამარხულ შურისძიებისა. მათ იფიქრეს, რომ მათი ბურჟუა-ბიუროკრატიული საბჭო უკიდურეს პარტიებს წარმომადგენლებს, დემოკრატებს, ვერ შეეგუება, მათთან ამხანაგობა, ნამეტურ ახლანდელ ხანაში, ხელს არ მოუგვარებსო. თქვეს და დაადასტურეს.

ამ შემთხვევაში, როგორც უოველთვის, მეკენწლეებმა, იმითაც იხელმძღვანელეს, რომ ქალაქის თავის ამორჩევაში ვინ ვის სად და როგორ გამოადგება ამა თუ იმ კანდიდატის გათეთრებაში. ამ მხრით უკიდურეს პარტიების საბჭოში გამრავლება სწორეთ იქნებოდა ხელსაყრელი, რადგან წაჩურჩულ-წამოჩურჩულების ტაქტიკით იმათთან ვერას გახდებოდენ საზოგადო საქმეში.

ეს და ამგვარი იდუმალ-განზრახულებანი დააკანონეს ქუთათურმა მეკენწლეებმა.

ამნაირათ შედგა დღევანდელ ქუთათურ თვითმართველობის საბჭო, რომელშიაც თავმოყრილი არიან ბანკების დირექტორები, მართლ-მსაჯულების წარმომადგენელნი, ამ მართლ-მსაჯულობის წარჩინებული ქომაგი-ვექილნი, ექიმნი, წარმომადგენელნი სახელმწიფო ქონებათა და რკინის გზისა, გიმნაზიის დირექტორ-ინსპექტორი, ვაჭრები ხომ ჩვეულებრივზე მომეტებულია, ტეხნიკოსი, ბუღალტერი, ნოტარიუსი და თუ საქმე სახიადლოთ გაუხდათ, „სპრავკებისათვის“ პარლამენტარიზმს ჯერ სრულიად შეურყეველი „პრისტავიც“ თან ახლავთ. არ არიან მხოლოდ ხელოსნების და საზოგადოთ დაბალი კლასის, მუშა ხალხის წარმომადგენლები. შესძლებენ ესენი ამ დგთის ანაბარათ მიტოვებულ ქალაქს რამეს თუ არა, ამას მომავალი დაგვანახვებს. გასაკეთებელი კი ბევრია.

დაბნელის ორიოდე სიტყვა უკვე განახლებულ საბჭოს პირველ კრებაზე. განახლებულ საბჭოზე ქუთაისში უკვე შესდგა საზოგადოებრივი აზრი, რომ იგი ვაჭრების და მათი ქარის გავლენის ქვეშ მყოფ მოსამქმეთა საბჭოთაო; რასაც ისინი გარეთ მოისურვებენ, საბჭოს დარბაზშიც ის გადაწყდებაო.

ამ კრებაზე ქალაქის თავი უნდა აერჩიათ. —ფედერალისტების ჯგუფმა, გადაწყვიტეს მოეწვიათ ფოთიდან იქაური ქალაქის გამგეობის წევრი იაკობ ფანცხავა, მარა ხმოსნებმა ჩხრიკეს, ეძიეს მისი ღირსება—ნაკლულევანებები, და ბოლოს იკითხეს: ნეტა ეს ასე სანაქებო კაცი რომელ პარტიას ეკუთვნისო და როცა მისი ამ მხრით ვინაობა გაიგეს, თქვენ, რომ ჩვენ შარშანაც არ დაგვყარა ხეირი პარტიის კაცებმა და დღეს, რაკი ძალა ჩვენ ხელშია, ჩვენი ხელით უფლს არ გამოვიჭრითო და ბევრი ძიების შემდეგ არჩიეს ისევ ძველი თავის კანდიდატურის წამოყენება. 36 ხმით წინააღმდეგ 22-სა გაათეთრეს იგი. ამნაირათ ახალ საბჭოსათვის ვაჭრებმა ისევ ძველი მეთაური აარჩიეს.

ამნაირმა მოულოდნელმა საქციელმა კი ფედერალისტებს ცივი წყალი გადაასხა და ისინი კრებიდან გაფითრებულნი გამოვიდნენ. ქუთათურმა ვაჭრებმა და მათმა ცნობილმა დიდერმა გ. ჭილაძემ ეს უკმაყოფილება იგრძნეს და რომ საბჭოს ამხანაგები სამუდამოთ არ მოემდურებინათ, კახი უკუღმა შეატრიალეს და ქალაქის თამბაზე გაშვებული ი. ფანცხავა, 5 ნოემბერს, დიდი ხმის უმეტესობით გამგეობის წევრობაზე გაათეთრეს და დაუნიშნეს ჯამაგირი 2400 მან.

ამნაირათ შეირიგეს ვაჭრებმა თავიანთი ძალზე მომდურავი კადეტები და მოიმადლიერეს ისინი, თორემ ქუთაისის საბჭოში ერთი ახირებული კონფლიქტი მოხდებოდა. დანაბადლოს საჭიროა აღვნიშნო შემდეგი გარემოება. ახალმა საბჭომ თავისი ნამდვილი სახე პირველ კრებაზედვე გამოაჩინა. საქმე აი რაში იყო. საბჭოს უნდა აერჩია ამ ოთხი წლის განმავლობაში მომქმედი ქალაქის საქმეების მომწესრიგებელი სხვადასხვა კომისიები, მაგ. სავინანსო, ათვთაქის, სამშენებლო და სხვ. ამას მიუმატეს უფრო სადღეისო სათათბიროს საარჩევნო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საარჩევნო სიები და ამრჩევლების უფლებანი.

ამის შესახებ ერთმა ხმოსანთაგანმა განაცხადა კრებაზე, რომ საჭიროა და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ, ჩვენ, ხმოსნებს გარდა, გარეშე ამომრჩევლებმაც. დიაახ, აქ, ამ საერთო, სახალხო საქმეში მაინც დავასახელოთ ყველა პარტიების წარმომადგენლები, რადგან ისინიც ამომრჩევლები არიან და უფლება აქვთ ამის მოთხოვნისა.

მაგრამ, მოკრეს თუ არა ვაჭრებმა და მათმა გულმოდგინე იდეოლოგებმა სიტყვა „პარტიას“ ყური, მაშინვე განგაში ასტეხეს და მოისმოდა ყვირილი: რას ამბობთ, ხმა გაკმინდეთ, რას გვიქვია აქ—საბჭოში, ქალაქის საქმეების გამო „პარტიების“ ხსენება; „აქ, ჩვენ ყველანი, უპარტიონი ვართ და უპარტიოთაც სამართლიანობას ვიცავთ“ და რაღა საჭიროა აქ საქმეში გარეშე, პარტიის კაცების ჩამორევა;

`) იხ. „ტალღა“ № 34.

# ფელეტონი

—:—

### პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს შესახებ

ხალხის მტერთა საუბედუროთ, მუშათა მოძრაობა რუსეთში იმდენათ მომწიფებული და გამაგრებულია, რომ არამც თუ მისი აღმოფხვრა, ერთ დონეზე შეჩერებაც კი შეუძლებელია. პოლიტიკურ მოძრაობასთან ერთათ რევოლიუციის ცეცხლსა და ალში გაიზარდა და მომწიფდა რუსეთში პროფესიონალური მოძრაობაც. პროფესიონალურმა მოძრაობამ ჩვენში უკვე განვლო პირველი ხანა, პირველი საფეხურები თავის არსებობისა, როცა იგი მხოლოდ მუშების დროებით და შემთხვევით შეთანხმებაში გამოიხატებოდა; დღეს მუშათა პროფესიონალურ კავშირებით მოფენილია მთელი რუსეთი. არ დარჩენილა შრომის არც ერთი დარგი, სადაც პროფესიონალურ ორგანიზაციის იდეას არ შეეშუქოს. რამდენათ სასტიკ ზომებს ხმარობენ მის წინააღმდეგ, რამდენათ უფრო მკაცრია „ლიბერალ“ სტოლიპინის სამინისტროს ზომები მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, იმდენათ მედგარი და ენერგიული მუშაობაა საჭირო მუშათა კავშირებისათვის, რომ პროფესიონალური მოძრაობა არ შეფერხდეს, რომ ნაპერწკალი პროფესიონალურ მოძრაობისა რაც შეიძლება მალე გაღვივდეს. ამისათვის საჭიროა, რომ პროფესიონალურ კავშირებმა თავისი ძალა და მოქმედება გააერთიანონ, გაუზიარონ ერთმანეთს თავისი ცოდნა და გამოცდილება, წელი გაუმაგრონ სუსტ კავშირებს და ხელი შეუწყონ ახალ კავშირების აღორძინებას. როგორც საუკეთესო იარაღი ამ მიზნის მისაღწევათ, ყველგან, სადაც მუშათა მოძრაობა კი არსებობს, ცნობილია პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციების მოწყობა, როგორიცაა, მაგალითად, კავშირთა პერიოდული სიეზდები, კონფერენციები და ადგილობრივი ცენტრალური ბიუროები, თუ საბჭოები. ამ გზას არც რუსეთის ახალგაზდა პროფესიონალური მოძრაობა აცდა. რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მეორე კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა, აღიარებული იყო აუცილებლათ ჩვენი კავშირების წარმომადგენელთა სიეზდების და კონფერენციების მოწყობის საჭიროება. რაც შეეხება პროფესიონალურ კავშირების ადგილობრივი ცენტრის სარგებლობას, ამის მაგალითი, საზღვარგარეთ რომ არ ვეძიოთ, პეტერბურგმაც კი დაგვანახვა.

დეკემბრის პოგრომმა, როცა პეტერბურგის პროფ. კავშირები ჯერ კიდევ სუსტი იყვნენ, საშინელი ზარალი მიაყენა კავშირებს, მაგრამ ცენტრალურ ბიუროს წყალობით ისინი მალე გამოკეთდებიან. ცენტრალურ ბიუროთა არსებობამ დიდი სამსახური გაუწია იმათ; ურთიერთ დახმარებით პროფ. კავშირებმა ადვილათ გადაიტანეს საშინელი დრო, თანდათან მოსულდგმულდენ და მალე გამაგრდენ კიდეც. ივლისის პოგრომმა ბევრ კავშირს უფრო კარგ მდგომარეობაში მოუსწრო (მეტი წევრი ყავდათ, საშუალებაც მეტი ქონდათ და გავლენაც *).

რაში გამოიხატება ადგილობრივ ცენტრის ასეთი დიადი მნიშვნელობა, როგორ აღწევს იგი მიზანს, ან რას წარმოადგენს იგი? ამის შესახებ ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვაუწყოთ მკითხველს **).

უპირველესი მიზანი პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს პროფესიონალურ მოძრაობის განვითარებას, ახალ კავშირების აღორძინებას და არსებულ კავშირების ერთი-მეორესთან დაკავშირებას. ვინ არ იცის, რომ მუშათა მოძრაობის ძლიერება იძალება მთელი მუშათა კლასის ერთობასა და სოლიდარობაში. მიზნის მისაღწევათ არ კმარა, რომ ამა თუ იმ პროფესიის მუშებმა დაარსონ თავისი კავშირი და მერე მხარ-თეძოზე წამოწვენ. შეგნებული მუშები და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელნი მუდამ დაინტერესებული უნდა იყვნენ იმაში, რომ არ დარჩეს შრომის არც ერთი დარგი, სადაც პროფესიონალურ მოძრაობის სხივებს არ შეენათოს. რამდენათ უფრო შეგნებულია ყველა პროფესიის მუშები, რამდენათ უფრო მაგრა აქვს ფესვი გადგმული ამა თუ იმ ადგილას პროფესიონალურ მოძრაობას, იმდენათ უფრო უადვილდება სხვადასხვა პროფესიის მუშებს მიზნის მიღწევა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ შრომის პირობები ერთ პროფესიაში, ხშირად დამოკიდებულია სხვა პროფესიის შრომის პირობებთან და პირველის გაუმჯობესება ხშირად შეუძლებელია, თუ უკანასკნელის პირობები არ შეიცვალა. ამიტომ თუ სხვადასხვა პროფესიის მუშათა შორის ერთსულოვნება და სოლიდარობა არ არსებობს, თუ ისინი დაახლოვებით არ იცნობენ ერთი მეორის პირვარამს და მზათ არ არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და მათი კავშირები იძულებულია ცალ-ცალკე იმოქმედონ, ისინი იშვიათათ მიაღწევენ მიზანს. დასავლეთევროპისა და ამერიკის კავშირების სიძლიერე, რომელიც ძილს უფრთხობს იქაურ კაპიტალისტების კავშირებს და სინდიკატებს იმაში გამოიხატება, რომ მუშათა კავშირები მჭიდროთ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული, მათი ძალა წარმოადგენს ღონიერ ერთეულს, მათ შორის არსებობს ისეთი ერთსულოვნება, რომ ერთის გაჭირვების დროს ყველა კავშირები ფეხზე დადგება ხოლმე. მხოლოდ პროფ. კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებას შეუძლია სხვადასხვა პროფესიის მუშათა ასეთ დაახლოვების საქმეს გაუძღვეს.

უპირველესათ ყოვლისა პროფ. კავშირთა ცენტრალური ბიურო უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი განათლება და თვითცნობიერება შეიტანოს მასსაში. სანამ მუშას არ შეეგნია კარგათ, თუ რა გზით დააღწევს იგი თავს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც ცხოვრობს, სანამ არ იცნობს თავის მოყვარეს და მტერთა გავლენის ქვეშ იმყოფება, მანამდის იგი მტერია მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობის. ამიტომ პროპაგანდა და აგიტაცია მასსაში ცენტრალურ ბიუროთა აუცილებელ და უპირველეს მოვალეობას შეადგენს. ამის მოწყობა მათთვის ადვილიც არის. ცენტრ. ბიუროს გარშემო თავს იყრის არამც თუ საუკეთესო ორგანიზატორთა და აგიტატორთა გუნდი, არამედ აქვე იკრიბება გამოცდილების ის დიადი საუნჯე, რომელიც ყველაფერზე უფრო ძვირფასია კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით დიდ სამსახურს ცენტრ. ბიურო გაუწევს კავშირებს აღორძინების დროს და არსებობის პირველ ხანაში. ხშირათ მოხდება ხოლმე, როცა მუშების ჯგუფს ებადება სურვილი კავშირის დაარსების, მაგრამ საქმის უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო სურვილი ვერ გაუხორციელებიათ. ვის უნდა მიმართონ ასეთ შემთხვევაში მუშებმა; კერძო პირს? მერე მოსძებნიან კი ჯერ ბრძოლის ასპარეზზე სრულიად გამოუცდელი, ასე ვთქვათ, ხამი მუშები ასეთ საიმედო პირს? არსებულ პროფ. კავშირებს? მაგრამ ამათ ხომ თავისი საქმეც ბევრი აქვთ. ძვირათ მოიპოვება ისეთი კავშირი, სადაც იმდენი მუშაკები მოიპოვებოდეს, რომ თავისი პროფ. კავშირის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდენ. ვინ არიცის, რა ძნელია ხანდახან აუცილებელ საჭიროების დროს გამოცდილ აგიტატორის შოვნა. სად არიან კარგი და მოხერხებული ორგანიზატორები? სანთლით საძებნელი არიან განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ციხე და ცივი ქვეყნები სავსეა საუკეთესო მუშაკებით. ცენტრალური ბიუროს მოვალეობაა შემოიკრიბოს ყველა გამოცდილი აგიტატორები და ორგანიზატორები, რომელნიც სხვადასხვა კავშირებში მოიპოვებიან, და საჭიროებისდაგვარათ მიაწოდოს ყველას. მეორე მხრით, რა კი მასსას ეცოდინება, რომ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობს კავშირის დაარსებაში, რაკი მუშებში კავშირის დაარსების სურვილი დაიბადება, იგი ადვილი განსახორციელებელი შეიქნება და კავშირის მიმართულებაც ყალბ გზას ასცილდება. ცენტრისთვის ადვილია ლექციების გამართვა, გაზეთის გამოცემა, ლიტერატურის გავრცელება და სხვ.

არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს ცენტრი კავშირებს ბინის შოვნაში. ვინც ახლო იცნობს მუშათა ორგანიზაციების ცხოვრებას, იმან კარგათ იცის, რა საჭირბოროტო კითხვას შეადგენს მუშებისათვის ბინის შოვნა კრების გასამართავათ. „საკითხი ბინის შესახებო, ამბობს პ. უმბრეიტი, მუშათა მოძრაობის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხს შეადგენსო“. ასეა საზღვარ-გარეთ. ჩვენებურ პირობებში, სადაც ათი კაცის შეკრებისათვის სახლის პატრონებს ციმბირით ემუქრებიან, ხომ უფრო თავსამტვრევია ბინის შოვნა. მაგრამ, მოხდება ხოლმე ისიც, რომ ზოგ პროფ. კავშირებს ბევრი მოხერხებული ბინა ქონდეს აჩენილი, ზოგი კი ერთი კრების გასამართავათ მთელი კვირაობით დაეძებდეს და ვერ პოულობდეს ბინას. როცა კავშირთა შორის ცენტრის საშუალებით დამოკიდებულება არსებობს, ასეთი საკითხები ადვილი გადასაჭრელია. ცენტრალურ ბიუროს მოვალეობაა საზოგადოთ თვალ-ყური ადევნოს, რომ მოთხოვნილებანი რაც შეიძლება თანაბრათ იყოს დაკმაყოფილებული.

გარდა ამისა ცენტრალური დაწესებულება ხელმძღვანელობას უწევს ისეთ საქმეებს, რომელშიაც ყველა კავშირები ერთნაირათ არიან დაინტერესებულნი და რომელთა განხორციელება ადვილია მხოლოდ მაშინ, როცა რამდენიმე ადგილობრივი კავშირი ხელი ხელ ჩაკიდებული მოქმედობენ. ასეთია იურიდიულ დახმარების მოწყობა კავშირის წევრებისათვის. არის ისეთი შემთხვევები, როცა კავშირები ვერ სწყვეტენ სა-

*) П. Умбрейтъ. „Значеніе и задачи центр. бюро проф. союзовъ“, გრინევიჩის წინასიტყვაობა, 30 გვ.

**) ჩვენ ვსარგებლობთ ზევით მოყვანილ უმბრეიტის წიგნაკით, რამდენათაც იმის შინაარსი შეეფერება რუსეთში არსებულ პირობებს, და ამასთანავე ვურჩევთ, ვინც დაინტერესებულია ვრცლათ გაეცნოს აღძრულ საკითხს, ეს წიგნაკი გადაიკითხოს.

კ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!
ამ დღეებში გამოაცხადებენ საარჩევნო სიებს.
დააკვირდით, შეტანილი ხართ სიაში თუ არა!
გახსოვდეთ, რომ თქვენი მოვალეობაა არც ერთი
ხმა არ დაკარგოთ!
დაუყოვნებლივ შეიტანეთ განცხადება, თუ თქვენი სახელი გამოტოვებულია.

...ბის უმეტესი დრო ამ საკითხზე დავას მოუნდომეს; მეტად კენჭის მოყვარულმა, დაურობელმა და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამობრძმედილმა ორატორმა მ. ღარსხველიძემ და ... მანამდი იდავეს, სანამ საკითხი საკენჭით... არ მიიყვანეს, სადაც გარკვევით იცოდნენ, რომ იგი გამოჭედებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ დავის აქტამდე უმრავლესობა გაიძახოდა, პროპორციონალურათ დასახელებული ყველა პარტიიდან შემკრებით მივიღოთო.

...ასარჩევი იყო სულ ცხრა კაცი, რომელთა საოლქოდ რაიონი სამ ნაწილათ იყო გაყოფილი, სამ-სამი კაცის ხელმძღვანელობით. სამართლიანობის დასაცველათ ამათში თითო კაცი უნდა ყოფილიყო სამ პარტიას: სოც.-დემოკრატებს და კადეტებს, მარა კენჭზე მიმდგარი საკითხი გულხათინობილმა მკენჭველებმა გადასწყვიტეს. ფედერალისტების ორმა კანდიდატმა... კანდიდატურა მოხსნეს, რადგან კენჭისყრაზე მიდგა საქმე; პირველათ წინადადების მომხრეებმაც თავის ყუთიც მოხსნა, ხოლო დარჩენილი ს.-დემოკრატები აქეთ თავიდან ნამოძღვრები ყინით გააშავეს. მართლიანობა კი მოითხოვდა, რომ მცხოვრებთა შორის უფრო ნდობის მოსაპოვებლათ ხმოსნებს სდლეოსთ, პარტიულ ამორჩევებში, პროპორციონალურათ ყველა პარტიებისაგან შემდგენი კომისია უნდა აერჩიათ. რითაც მერე შარშანდელი საყვედური არ უთქვიათ ამ კომისიებზე. საბჭოს ხმოსნებმა კი ასეთ სამართლიანობას გვერდი აუხვიეს და თუმც კენჭებით საქმე მოიგეს, მარა ზნეობრივათ კი თავის სრული სიკოტრე გამოიჩინეს. ასე ყინით სახალხო საქმეების გადაწყვეტა შეიძლება ბოლოს სანანებლათაც გაუხდეთ, მარა გვიანღა იქნება „თითზე კბენანი“.

**ისო.**

## პროვინციის ქრონიკა.

**ელისავეტპოლი.** ოცდა სამ ნოემბერს ჩამოვიდა რკინის გზის უფროსი: რამოდენიმე მოსამსახურემ სთხოვა სამსახურის პირობების გაუმჯობესება და აგრეთვე დახურული თეატრის და სამკითხველოს გახსნა. უფროსი დათანხმდა, თუმცა გააფრთხილა, თუ გავიგე, რომ შიგ მიტინგებს ახდენთ, მაშინვე დავხურავო.

**ბათუმი.** ბათუმში მრავალი უმუშევარი ხელი დარჩა, რომლებმაც შეადგინეთ „უმუშევართა ბიურო“ საქმის აღმოსაჩენათ და მოსაწესრიგებლათ. ამ მიზნით ქალაქმა დაიწყო ახალი წყლის მილების გაყვანა. ეს რამოდენიმე თვეა მუშაობა სწარმოებს და ჩვენი სიცოცხლე მეტად საფრთხეში. ღრმა თხრილებში მიწა ხშირათ წვება და ადვილი მოსალოდნელია მუშა მოიყოლიოს. მოიჯარადრე ზინოვიევს ადვილათ შეუძლია ის ადგილები, სადაც მუშები მუშაობდნენ, ფიცრებით გაამაგროს, მაგრამ აბა რისთვის აიტკივებს თავს, როცა ფიცარს ფული სჭირია და მუშის სიცოცხლე კი ჩირადაც არ ღირს. ზინოვიევს ვინ გაამტყუნებს, როცა ჩვენა არჩეული ბიუროც ყურს არ იბერტყავს, თითქო უმოქმედობისათვის აჯილდოვებსო.

**ვან—კა.**

**სოფ. ლეხაინდრაო** (სამეგრელო). წლეულს აკლდა ჩვენი საზოგადოება გუდუნ ონესიძე დაწყლიამ. ეს გვაბატონი არც წინათ იყო პატიოსნებით ქებული, მაგრამ ამ ბოლო დროს აშკარათ დაუძლევია სტრაჟნიკებს სოფელ სოფელ და ვისკენაც მტირუოდნენ წვენა კი ახსოვს, ყველას მაგ დღეს აუ,ნებს. მისი ჩვენებით დააპატიმრეს: თომა გაბუნია, ნესტორ, ეგნატე და ვლადიმერ დანელიები, ანდრია კორსავა და ვლადიერ სარჩიმელია. ზოგი მათგანი დღესაც ციხეშია. როგორც გავიგეთ ამ გვაბატონს სხლიც დაუზღვევია 10000 მან. ეს ალბათ იმიტომ, რომ სახლს დასწვავს თითონ, როგორც ხშირათ შვებიან ამ გვარი პატიოსნების გვამები და ფულს საზოგადოებას გადაახდევინებს.

ამას წინათ გასტეხეს ლეხაინდრაოს ეკლესია. წაიღეს 200 მანეთი ფული და საეკლესიო ნივთები. როგორც ამბობენ ეჭვი ადგილობრივ მღვდლებზე მიუტანიათ.

**სოფლელი.**

## პროვინცია

**ს. საჭილაო** (სენაკის მაზრა). თუ აინგრის შაგ-ბნელ დღეებში აბაშის საბოქაულოში დათარეშობდა ბოქაული ყუბანეიშვილი, დღეს მის მაგიერ შავ რისხვათ მოგვევლინა ბოქაული გეგენავა, რომელმაც თავის ჯალათობით კიდევ გადააჭარბა ყუბანეიშვილს. ეს გაიძვერა ბოქაული ხშირათ მამართავს ხოლმე ცნობილს თავის ჯალათობით აფიცერ ცომაიას და ისე დათარეშობს სოფლიდან სოფელში. მოახლოვდა თუ არა არჩევნები, მთავრობის დამქაშებიც შეუდგნენ „საქმიანობას“. დაძრწიან ჯოგ-ჯოგად, გინც შეხვდებათ აპატიმრებენ, ეგზეკუციას გზავნიან, რომ ამით დააშინონ გლეხები და თითონ ისარგებლონ, მაგრამ ვნახავთ ვინ გაიმარჯვებს. 22 ნოემბერს ღამით საჭილაოს საზოგადოებას ესტუმრა აბაშის ბოქაული გეგენავა და ბესარიონ ეპისკოპოზის მეძავითნე აფიცერი ცომაია თავის რაზმით და შეუდგნენ ეგრეთ წოდებულ „არა საიმედო“ პირების დაპატიმრებას. ვის სახლსაც კი ცომაია-გეგენავა თავს დაესხა მხედაფერი მიღეწ-მოლეწეს, გაძარცვეს და წარმოიდგინეთ, მკითხველო, ქალებსაც კი გაუპატიურება მოუნდომეს. მაგალითისთვის მოვიყვან ორ ფაქტს, რომელიც ფრიად საყურადღებო იქნება ცომაია-გეგენავას პატიოსნების დასამტკიცებლათ (თუ კი შეიძლება მათ პატიოსნებაზე ლაპარაკი). ერთ ადგილობრივ მცხოვრების სახლში ბ-ნმა ცომაიამ სტუმარ ქალს სახურავი გადააძრო და უთქვამს „ლოგინი გაშალე ყოფილა, აქ შეგრჩე თამამათ დაწვებაო“. განა გარყვნილებაში აღზრდილს და სინიდისი რაიმე დაუშლიდა?! მაგრამ საქმეში ოჯახის პატრონი ჩაერია და ბინძური ხელისაგან დაიხსნა საბრალო ქალი. აქედან დაბრუნებულან, რადგან ვერავინ უპოვნიათ და ნიკო შალამბერიძის სახლისთვის ალყა შემოურტყამთ, მიუღიან ჩხრეკას და გარდა 18 მ. ვერაფერი უპოვნიათ-რა, რომელიც საბრალოებისთვის წაურთმევიათ. ბევრს ემუდარა თურმე მოხუცი ოჯახის ქალი ბ.ბ. ცომაია-გეგენავას, მაგრამ ამაოთ. ამის შემდეგ ამ ვაჟბატონებს დაუპატიმრებია ადგილობრივი მცხოვრებნი: გიორგი დუნდუა, ამბროსი ნემსაძე ბიტუ თოფურია (თავის ძმის მაგიერ), ეგნატე ტობოყუა, ვიქტორ კალანდაძე, ონისიმე გრიგოლია, კვანტალიანი და ერთიც გიგიც-დუნდუას სტუმარი. ასე დათარეშობდნენ მთელი ღამე ადგირ წახსნილი ვაჟბატონები, ხოლო დილის რვა-ცხრა საათზე კი მოიწვიეს ადგილობრივ სასამართლოში მასწავლებლები და მოუთხოვიათ „გვითხარით ჩქარა, ამ დღეებში აქ მომხდარა კრება აბაშის რაიონის მასწავლებლების და რომელ სკოლაში იყოო“. რადგან პასუხათ უარი მიიღეს ამ საქმის შესახებ, ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველი ბ. თოფურია გეგენავა-ცომაიას ჩვენების ჩამოსართმევათ მაზრის უფროსთან გაუწვევიათ, ხოლო სხვებისთვის კი უთქვამსთ „ეწვიეთ იყავითო“. დაპატიმრეს თუ არა მასწავლებლები მამასახლისს უბრძანეს თურმე ხალხს მოუყარე თავიო, ...მების მიღებაც ვერ მოუსწრია მამასახლისს, რომ ბ. ბ. გეგენავა-ცომაიას უთქვამს, რადგან სხადი არ სჩანს, ამისათვის ეგზეკუციის გამოგზავნა, ეხლა კი ამ „ერთობას კაცებით“ აბაშაში წავბრძანდებითო.

**დემონი.**

## დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში.

(გაგრძელება, იხ. „ნალლა“ № 34).

მოწმე მაშკოვა დეკემბრის გაფიცვის დროს მუშაობდა რალეს ფაბრიკაში. მაშკოვმა განაცხადა, მე სრულიად აღარა მახსოვს რამე. როდესაც მას შეეკითხნენ ქანსოვს დარმების?ათვის ხომ არ გადაგიცია საპნის ქაღალდზე ჩამოწერილი სია რაზმელებისო, მაშკოვამ, კიო, თქვა. გამომძიებელს მაშკოვამ შემდეგი ჩვენება მისცა: მე დავესწარი იმ მიტინგზე, რომელიც მილოვის მორწოდებით მოხდა; ამ მიტინგზე მილოვმა მუშებს მოაგონა, რომ არსებული წყობილების მოსასპობათ საჭიროა შეიარაღებული ბრძოლა პოლიციასთან და ჯართან და მოითხოვა დამსწრეებისაგან თითო მანეთი იარაღის შესაძენათ. ამ რიგათ მან იმ დღეს შეაგროვა 250 მ.; შემდეგ ორ გზობაზე მან ფაბრიკაში მოიტანა 35 რევოლვერი; ეს რევოლვერები ხელათ დაურიგდა მუშებს. შემდეგ მილოვი შეუდგა მუშების გაწვრთნას სროლაში. მიტინგებზე სხვათა შორის ლაპარაკობდენ, რომ სახელმწიფოს უფროსი უნდა იყოს არჩეული სამი წლით. სხვათა შორის ორატორათ ამ მიტინგებზე გამოდიოდა ბაუმანის ცოლი. შემდეგ ამ ჩვენების წაკითხვისა, მაშკოვი იძულებული გახდა ეთქვა: მე ჩემი თვალით არ მინახავს წვრთნიდა თუ არა მილოვი მუშებს სროლაში; მე მხოლოდ გავიგონე სხვისგან ეს. აგრეთვე სხვისგან გავიგონე, თუმცა არ მახსოვს სახელდობ ვისგან, რომ მილოვმა რევოლვერები მოიტანაო. მუშების ხელში რევოლვერები არ დამინახავსო. რა კი მე რევოლვერი არ დამინახავს. რა წიგნაკებს და პროკლამაციებს აწვდიდა მუშებს მილოვი, არ ვიციო; მილოვისაგან მე თვითონ მივიღე პროკლამაცია, სათაურით: „ახლათ გამოწვეულებს“, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

მოწმემ არფულინმა სთქვა: არც იარაღის მიცემა და არც ფულის მობოქვა არ მინახავს, მაგრამ მე დარაჯი ვარ და კარებთან კი მუშები ფრთხილათ არიანო.

მოწმემ ტამბილინმა, რალეს ფაბრიკის გამგემ, თქვა, პირადათ მილოვს ვერ ვიცნობ, მხოლოდ სხვებისგან მაქვს მაზე ზოგი რამ გაგონილი. ვიცი მილოვი დეპუტატი იყო და გავლენაც ქონდა. გამიგონია, ვისგან არ მახსოვს, რომ მილოვი მუშებს პროკლამაციებს აწვდიდა. არც ის ვიცი შეიარაღებული იყო თუ არა მუშების ნაწილი. სროლის ხმა მომესმა, მაგრამ ვინ ისროდა არ ვიცი; გაგონილი მქონდა, რომ ფულებს აგროვებენ მუშებს შორის, მაგრამ ვინ აგროვებდა, არ ვიციო. გოლცევის ფაბრიკის კ'სირმა სთქვა: 7 თუ 9 დეკემბერს მუშებმა ავანსათ აიღეს 200 მანეთამდე, მათ შორის მილოვიც იყო. რათ უნდოდათ ფული მუშებს არ ვიცი, ავანსის აღება ჩვეულებრივი საქმეა ფაბრიკაშიო.

მოწმე ელისეევმა განაცხადა. მე გავიგონე, რომ მილოვი ფულებს აგროვებდა, 1 მ. კაცზე, მაგრამ არ ვიცი კი რა მიზნითო. არც ერთი მუშისათვის იარაღი არ შემიმჩნევიაო.

ბრალდებულმა მილოვმა სიტყვა მოითხოვა და სთქვა შემდეგი: წარსული წლის ოქტომბრის დამლევს, მანიფესტის შემდეგ, მოსკოვში შედგა ბუტირსკი რაიონის სამრეწველო კავშირი. კავშირში შედიოდნენ ამ რაიონის ყველა „ხაზეინები“. ამათი წინადადებით ყველა ფაბრიკებში ამოირჩიეს მუშებისგან დეპუტატები; დეპუტატებს ფაბრიკების ადმინისტრაციასთან უნდა ჰქონოდა საქმე საჭიროების დროს და მოეწესრიგებია დამოკიდებულება მუშებსა და ხაზეინებს შორის. ხაზეინები დეპუტატებს მოითხოვდნენ ხანდისხან ტეხნიკური კითხვების გადაწყვეტაშიაც როგორც მაგალითათ მუშაობის დაფასება და სხვა. კითხვებს დეპუტატები არკვევდნენ ხოლმე ხაზეინების თანადასწრებით. მუშებს ნება ქონდათ თავიანთ სადგურებში კრებები გაემართათ ხოლმე. ამ კრებებზე ბილეთებით მოდიოდნენ სხვა ფაბრიკების მუშებიც. ეს შეტანილი იყო ფაბრიკის წესდებაში, რომელიც საფაბრიკო ინსპექტორმა დაამტკიცა; ამრიგათ ეს ორგანიზაცია სავსებით ლეგალური იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ორგანიზაცია არ კმარიყო და ამიტომაც შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელშიაც ყველა ფაბრიკების წარმომადგენლები იყვნენ. სულ ტყუილათ ფიქრობენ, ვითომ ეს საბჭო მუშებს ბრძანებლობდა. არც ერთ მის გადაწყვეტილებას მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუ იგი დამყარებული არ ყოფილიყო ოვითეული ფაბრიკის მუშათა გადაწყვეტილებაზე. მილოვი ამორჩეული იყო ამ საბჭოში. ის თავს გამოუცდელათ და უვარგისათ სცნობდა ასეთი საქმისთვის; მაგრამ მაინც იძულებული იყო მუშათა დადგენილებას დამორჩილებულიყო. მას უნდოდა გაემართლებია მუშების ნდობა და ფიქრობს, რომ კიდეც მიაღწია ამ მიზანს. ის ვალდებული იყო დანამდვილებით გადაეცა მუშების დადგენილება დეპუტატების საბჭოსთვის და საბჭოსი მუშათა კრებებისთვის. ის სწორეთ ასეც იქცეოდა. არავითარ სამხედრო ორგანიზაციებში მას მონაწილეობა არ მიუღია; ფულს აგროვებდა სხვადასხვა საჭიროებისათვის, სხვათა შორის დამშეულთათვის და უმუშევრათ დარჩენილთათვის. იარაღისთვის კი მას ფული არ შეუკრებია,

---

...დღეო საკითხს ბწარმოებელთან შეთანხმებით ან ჩვეულებრივ საშუალებით და კავშირის წევრი იძულებულია ოფიციალურ სასამართლოებს მიმართოს. არის ბევრი საკითხები, როცა მუშას ესაჭიროება თავისი, პირადათ, თუ ოჯახურ საქმეების გამო იურისტის რჩევა-დარიგება. ცენტრალურ ბიუროს მოვალეობაა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმის მოწყობას, რომ მუშა არ ჩაუვარდეს მსუნაგ იურისტებს ხელში და არ მოტყუვდეს. რუსეთის პროფ. კავშირთა მეორე კონფერენციამ დაადგინა, რომ იქ, სადაც პროფ. კავშირთა ცენტრალური ბიუროები არსებობს, იურიდიული კომისია უნდა შედგეს მუშებისა და იურისტთაგან და ცენტრ. ბიუროს ხელმძღვანელობით უნდა მოქმედებდეს. ამასთანავე ამ კომისიის წევრი იურისტები დანაწილებული უნდა იყვნენ კავშირებში, როგორც კავშირის იურისკონსულტები. (იხ. „Вторая конференція проф. союз. Доклады и протоколы 31 გვ.) ამ სთანავე კონფერენციამ სასურველათ ცნო ისეთი იურისტები ჯამაგირს იღებდნენ კავშირებისაგან და იურიდიულ დახმარებას ქველმოქმედების ხასიათი არ ქონდეს. რა თქმა უნდა, დაქირავებული იქნება იურისტები თუ არა, ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიმართულებასა და ცოდნას. საკმარისი არ არის, რომ პროფ. კავშირის იურისკონსულტი კარგი მცოდნე იყოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების, აუცილებელი საჭიროა იგი კარგი მცოდნე იყოს მუშათა კითხვის და ერთგული მეგობარი მუშათა მოძრაობის.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროფ. მოძრაობისთვის სტატისტიკის წარმოებას. სტატისტიკისა და პროფ. კავშირთა ანგარიშების საშუალებით თითოეული მუშა ნათლათ დაინახავს თავისი და თავის ამხანაგთა მდგომარეობას, შეადარებს იმას სხვის მდგომარეობას, გაიგებს, თუ როგორია შრომის პირობები სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა წარმოებაში, თუ როგორი მიმართულებისა და ხასიათის კავშირები უფრო ეღწევენ მიზანს და სხვა. ასეთ ანგარიშების საშუალებით ადვილი გამოსარკვევია მიზეზი და საშუალება შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ. ცენტრ. დაწესებულება ყოველგან და ყოველთვის დიდ სამსახურს უწევს პროფ. მოძრაობას ასეთ ცნობების შეკრებით. „ცენტრალურ დაწესებულებათა ანგარიშებიო,—სწერდენ ამას წინათ ეტერბ. კავშ. ცენტრ. ბიუროს ორგანოში, ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა საკითხების გადაჭრა უფრო ხშირათ უხდებათ ცხოვრებაში და რას უფრო ცხარეთ უნდა ებრძოლონ პროფ. კავშირებმა სხვადასხვა ქვეყანაში. იმ დროს, როცა ავსტრიელ და გერმანელ კავშირების ანგარიშში ჩვენ პროფ. კავშირთა ორგანიზაციულ იყავებას ვხედავთ, როცა აქ კავშირთა შემოსავლს ზრდა ემჩნევა და კავშირები საბრძოლველათ გამოდიან, ინგლისის, დანიის და ნორვეგიის ანგარიშებიდან სჩანს, რომ ესენი ყველაზე უფრო უმუშევრობის წინააღმდეგ იბრძვიან, შვეციისა და უნგრეთის ანგარიშები ქირის მომატებისა და საზოგადოთ კლასიურ ნიადაგზე ბრძოლით არის ავსებული, ბულგარიისა და იტალიის ანგარიშს კი შინაურ ორგანიზაციულ კრიზისის ბეჭედი აზის“ („პროფ. კავშ.“ № 18—19, გვ. 19). მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროფ. კავშირთა ცენტრი სხვადასხვა ცნობების შეკრებას იმდენათ მისდევს, რამდენათ ამას მუშათა მოძრაობისთვის აქვს მნიშვნელობა და არა სამეცნიერო მიზნით.

არის სხვა ბევრი წვრილმანი საკითხები, რომელიც უფრო კარგათ მოეწყობა, როცა ცენტრალურ ბიუროს ხელში გადავა. იქ, სადაც მუშათა საკითხი სულ ამუჩათ არ არის აგდებული, როგორც ჩვენში, პროფ. კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებათ დიდი და ფართე ასპარეზი აქვს სამოქმედოთ. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენშიაც დიდ სამსახურს გაუწევს იგი მუშათა მოძრაობის საქმეს. ვისაც კარგათ ესმის მუშათა პროფ. კავშირების ნამდვილი მიზანი და ამ კავშირებს არ უყურებს, როგორც მხოლოდ დამხმარებელ კასას, ვინც თვალყურს ადევნებდა, თუ რა როლს თამაშობდენ წარსულ წლის ოქტომბერში რუსეთის ჯერ კიდევ ნორჩი და ჩამოუყალიბებელი კავშირები, მისთვის ადვილი წარმოსადგენია, რომ ცენტრალურ ბიუროების დაარსების შემდეგ ძალა და გავლენა პროფ. მოძრაობისა განმათავისუფლებელ საქმისთვის ერთი ორათ გაიზრდება.

ვისგან უნდა შედგებოდეს პროფ. კავშირების ადგილობრივი ცენტრი და რა უფლებებით უნდა იყოს იგი აღჭურვილი?

პროფ. კავშირთა ცენტრ. ბიურო შედგება ადგილობრივ კავშირთა წარმომადგენელთაგან; ამასთანავე მას უფლება აქვს თავის სხდომაზე მოიწვიოს სათათბირო ხმით სასარგებლო პირნი. როგორი უნდა იყოს წარმომადგენლობა: პროპორციონალური თუ თანასწორი, ე. ი. წევრთა რაოდენობის მიხედვით უნდა გზავნიდნენ კავშირები წარმომადგენლებს, თუ ყველა კავშირები თანასწორათ?—ჩვენ ახლა ვიცით, თუ რას ემსახურება კავშირების ცენტრალური დაწესებულება და აქედან ცხადათ დავინახეთ, რომ მის არსებობაში ყველაზე უფრო სუსტი კავშირები უნდა იყვნენ დაინტერესებული. ალაგ-ალაგ, სადაც კავშირებს აშკარათ უძლიათ იმოქმედონ და სადაც ცენტრალურ დაწესებულებათა ხელში მრავალი სხვადასხვა გვარი საქმის წარმოება გაივლის და ფინანსიური საკითხიც დიდ როლს თამაშობს, პროფ. კავშირებს კიდევ შეუძლიან მოსთხოვონ პროპორციონალური წარმომადგენლობა ცენტრისთვის: ჩვენ მეტს ვხარჯავთ, ამიტომ ჩვენ მეტიც უნდა გვეკითხებოდესო, შეუძლიათ იქ თქვან. ჩვენში კი უმთავრესი და თ...ქმის მ...ელი დანიშნულება ცენტრისა იმაშ გამოიხატება, რომ სუსტ კავშირებს დახმარე და იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს. ჩვენში კი სუსტი კავშირები უფრო საჭიროებს ... დრე ლონიერი. დღეს ჩვენში მაინც ... მაინც პროფ. კავშირებს არცა აქვთ ბევრი საქმე ნივთიერი და ფინანსიური საკითხების მხრივ; ისეთ საკითხების გადაწყვეტაში კი, როგორიცაა პროპაგანდა-აგიტაცია, გაზეთის გამოცემა და სხვ. პროპორციონალურ წარმომადგენლობას არამც თუ ნიადაგი არა აქვს, იგი მავნებელიც იქნება. (Умбрейтъ, გრინევიჩის წინასიტყვაობა, 13 გვ.).

რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს იმ კავშირებისა, რომელნიც ცენტრ. ბიუროში შედიან და ცენტრ. ბიუროს შუა?

მართალია, ცენტრ. ბიურო, როგორც კრება ყველა ადგილობრივ კავშირებისა უფრო გავლენიანი და ავტორიტეტიანი იქნება, ვინემ თითო კავშირი კერძოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცენტრ. ბიუროს უფლება ქონდეს ესა თუ ის დადგენილება გამოიტანოს სხვადასხვა პროფ. კავშირის შესახებ და მის შინაურ ცხოვრებაში გაერიოს. ყოველი პროფ. კავშირი წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ერთეულს და თავის პროფესიის ფარგლებში სრულიად ავტონომიურათ მოქმედობს. მაგრამ ისეთ საკითხების გადაჭრის დროს, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს ყველა ადგილობრივ კავშირებისთვის, ცენტრალური ბიუროს დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს ყველა ადგილობრივ კავშირებისათვის, რომელნიც კი შედიან ამ ცენტრში. საჭიროა, ცენტრ. ბიურომ თავისი გონიერ მოქმედებით იმდენი ავტორიტეტი მოიხვეჭოს, რომ ყოველი მისი დადგენილებას მორალური გავლენა ქონდეს ადგილობრივ კავშირის წევრებზე. ამისათვის ცენტრ. ბიურო უნდა ერიდოს ყოველივე კონფლიქტს კავშირებთან, განსაკუთრებით თავის არსებობის პირველ ხანაში. სანამ ამა თუ იმ დადგენილებას გამოიტანდეს, იგი უნდა გაეცნოს კავშირების შეხედულებას და სულიერ მდგომარეობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანოს განსაზღვრული და სავალდებულო დადგენილება, როცა დარწმუნდება, რომ ყველა კავშირები მხარს მისცემენ იმას.

საბჭოს საშუალებანი?

ჩვენ ვთქვით, რომ პროფ. კავშირები თავ. პროფესიის ფარგლებში მოქმედებენ სრულიად ავტონომიურათ. კავშირის წევრთა უმთავრესი ნივთიერი მოთხოვნილებანი თვითონ კავშირებმა უნდა დააკმაყოფილონ. როცა მხედველობაში მივიღებთ, თუ როგორ მრავალ ფეროვანია ეს მოთხოვნილებანი და რა დიდ ხარჯს მოითხოვს იგი კავშირებიდან, ჩვენ იმ დასკვნაზე მივალთ, რომ ცენტრ. ბიურომ რაც შეიძლება ცოტა უნდა მოითხოვოს კავშირებისაგან თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ (პეტერბურგის ცენტრ. ბიუროს წესდების პროექტით, მაგალ., 2% უნდა შეიტანონ კავშირებმა ბიუროს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. იგივე წიგნი, დამატება, გვ. 141.), დანარჩენი სპეციალური (მაგ., სხვადასხვა მიზნისთვის) გადასახადებისაგან და წარმოდგენებისა და საღამოების გამართვისაგან უნდა დგებოდეს.

—

თფილისშიაც დაარსდა პროფ. კავშირთა ცენტრალური ბიურო (თუ საბჭო ეს სულ ერთია). ჩვენ სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას. მიუხედავათ იმისა, რომ სოციალდემოკრატიის გავლენა ჩვენში უფრო მეტია, ვიდრე რუსეთის სხვა ადგილებში, პროფ. მოძრაობა ჩვენში კუს ნაბიჯით მიდის წინ. მთელი მოქმედება ჩვენი პროფ. კავშირებისა ეკონომიურ გაფიცვის გამოცხადებითა და გატარებით თავდება ხოლმე. მაგრამ ვინ არ იცის, რომ პროფ. კავშირებს უფრო მეტი მოვალეობა აწევსთ. ამიტომ, ჩვენ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ დღემდის ასე უფერულათ მიდიოდა პროფ. მოძრაობის საქმე ჩვენში, ცენტრ. საბჭოს დაარსება უფრო მეტ შინაარსს შეიტანს ადგილობრივ კავშირთა ცხოვრებაში და თფილისის პროლეტარიატი მთელ რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ ახალ დაწესებულების შექმნით უფრო და უფრო გაამაგრებს თავის საბრძოლველ პოზიციებს.

**კ.—კი.**

რაც შეეხება პეტროპოლსკის იარაღის აყრას, საქმე მოხდა ამნაირად. იმ დროს უკვე ხმები დადიოდა შავი რაზმის შედგენაზე, რომელსაც უნდა განედგურებია ჩვენი სასადილოები. ამიტომაც ხალხი მეტად აღელვებული იყო პოლიციის წინააღმდეგ. 11 დეკემბერს ფაბრიკაში გამოცხადდა პეტროპოლსკი. მას არამც თუ არ ურჩევია მუშებისათვის პეტროპოლსკის იარაღის აყრა, პირიქით, არწმუნებდა მუშებს, რომ მისთვის ძალა არ დაეტანებინათ.

მილოვის ნალაპარაკევი ზოგიერთმა მოწმეებმაც დაადასტურეს. შემდეგ გაირჩა სტეპანოვის, ბუტუზოვის, გრიზუნოვის და სმეტანენკოს საქმე. სტეპანოვს ბრალდება ეფრეიტორის მოკვლის განზრახვა; ბუტუზოვს და გრიზუნოვს 12 დეკემბერს იარაღის და ქაღალდების მოტაცება უბნის ზედამხედველის ვასილიევსკის ბინიდან; ნიკოლაი სმეტანენკოს აბრალებენ იმას, რომ მან მეეზოვეს აუკრძალა ეზოს კარები არ დაეკეტა სწორედ იმ დროს, როცა აჯანყება დაიწყო.

### ქალაქის საბჭოს სხდომა
27 ნოემბერი

27 ნოემბერს შესდგა სხდომა თფილისის ქალაქის საბჭოსი გამგეობის წევრის ნ. პ. კოჩაევის თავმჯდომარეობით. გამგეობამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა საბჭოს პურზე ნიხრის მომატების შესახებ. გამგეობას შეუკრებია ცნობები რუსეთის ქალაქებში და აღმოჩენილა, რომ წელს მიუხედავათ ცუდის მოსავლისა, პურის ფასს არ აუწევია. თფილისში მოტანილი ფქვილი ღირს შედარებით წინანდელზე ფუთი 7 კაპ. მეტი. გამგეობას გადაუწყვეტია ნახევარი კაპ. მოუმატოს მეორე ხარისხის პურზე. საბჭომ უარყო გამგეობის დადგენილება და პურზე ძველი ნიხრი დატოვა შეუცვლელათ. ამ საკითხის განხილვის შემდეგ საბჭომ მთელი საღამო მოანდომა იმის განხილვას, მიიღონ თუ არა ს. კ. ზუბალაშვილისაგან საჩუქრათ სახალხო სახლი. კომისიის წევრმა არღუთინსკიმ წარუდგინა განსაკუთრებულ კომისიისაგან შემუშავებული მოხსენება, თუ როგორ მართონ სახალხო სახლი. კომისიას შეუმუშავებია პროექტი სახლის მართვა-გამგეობის წესდება და აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. კომისიის აზრით სახალხო სახლის გამგე-კომისიის სიიდან უნდა გამოირიცხოს წარმომადგენელი სიფხიზლის საზოგადოებისა, რადგან ფაქტიურათ სიფხიზლის საზოგადოება აღარ არსებობს. ამრიგათ სახლის გამგებლათ ქალაქს საკმაო ძლიერი ძალა ეყოლება გამგე კომისიაში. თავმჯდომარე იქნება ქალაქის თავი, ორი წარმომადგენელი საბჭოდან. ამასთანავე საბჭოსაგან დამოკიდებული იქნება გამგე კომისია და შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა დამტკიცებაო. და ამიტომ კარგი იქნება საბჭომ დაადგინოს, რომ სახლს მადლობით ღებულობს და შემდეგ შეუდგეთ გამგე კომიტეტის ამორჩევასო. ამის შემდეგ თავ. არღუთინსკიმ ხარჯთ-აღრიცხვა მოახსენა საბჭოს. კომისიის ანგარიშით ერთდროულათ სახალხო სახლის მოსაწყობათ, გასანათლებლათ და სხვ. დასჭირდება 15,000 მან. ხოლო ყოველ წლობით სახლის შესანახათ საჭირო იქნება 30,430 მანეთი. შემოსავალი ქალაქს ექნება სახლისაგან 22100 მან. ისე რომ ყოველ წლობით ქალაქს სახლისათვის სახარჯოთ დასჭირდება 8330 მან. ზოგიერთმა ხმოსანმა აღძრა საკითხი, რომ მთელი მოხსენება დაიბეჭდოსო, უფრო თავ. არღუთინსკი და ზოგი სხვები ამტკიცებდენ სახლის მიღების შესახებ დადგენილება ეხლა მივიღოთ, ხოლო წესდების პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადავდოთო. ხმოს. მელიქ-ბეგლიაროვმა, ი. მ. დოლუხანოვმა, შახბუდაგოვმა და ზოგმა სხვათაც კარგა ხანს ილაპარაკეს წინააღმდეგ თავ. არღუთინსკის წინადადებისა. სახლი ეხლა რომ მივიღოთ, ეგებ ხარჯთ-აღრიცხვით 40,000 მან. დაგვჭირდეს და საიდან შეგვიძლია ამდენი ფულების ხარჯვა. მაშინ ემჯობინება სახლი სულაც არ მივიღოთო. თუ სრულ ქალაქის საკუთრებაში იქნება სახლი, მაშინ შეიძლება ქალაქმა მეტიც დახარჯოსო. 11 საათამდე გასტანა კამათმა და ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა მიიღონ სახალხო სახლი, ხოლო წესდების პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგ განიხილონ. ამავე სხდომაზე საბჭომ მიიღო მოხსენება ქალაქის მდივნის სტ. ჭრელაშვილისა, ოლიმპიას შუამდგომლობა, რომ მ.მა დავითის გორების ზემოთ 54 დესიატინა გადაეცეს ქალაქს მის სრულ განკარგულებაში. ბ-ნ ჭრელაშვილის მოხსენებით ქალაქს შეუძლიან მთაწმინდის გორა გააშენოს ხე ტყით, გაამაგროს ხევები, რომ ქალაქი წყალდიდობისაგან იქნეს დაცული და სხვ.

## რუსეთის ამბები

**გემების მოსამსახურეთა გაფიცვა ოდესაში.** დეპეშით ატყობინებენ „ტოვ."-ს, რომ 20 ნოემბერს ოდესაში დაიწყო გემების მოსამსახურეთა გაფიცვა. მიზეზი იყო მოსამსახურეთა რეგისტრაციის შეწყვეტა და თავმჯდომარის დატყვევება. გაფიცვას მიემხრენ ყველა საზოგადოების გემთა კამანდები, ზოგი „დობროვოლნი ფლოტისაც". მომსვლელი პარახოდების მოსამსახურენი საჩქაროთ ღებულობენ ანგარიშს. როგორც გამოირკვა, რეგისტრაციის გაუქმებას დიდიხანია ამზადებდენ როგორც აქ (ოდესაში), ისე პეტერბურგშიაც. მოსამსახურეებმა კი ამას შესახებ არაფერი არ იცოდენ უკანასკნელ ხანამდის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გასული ზაფხულის გაფიცვით რეგისტრაციის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგა, და არც ერთი მხარე არ დაარღვევდა პირობას. ეხლა კი მოსამსახურეებს სულ სხვა პირობები წამოუყენეს: გაუქმებულია რვა საათის სამუშაო დღე, მოსპეს ზედმეტი სამუშაოს ხელფასი და მოსპეს სამედიატორო სასამართლო, რომელსაც რეგისტრაცია განაგებდა. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდ როლს თამაშობს, როგორც დანამდვილებით გაიგეს, ოდესის რუსთა კავშირის თავმჯდომარე გრაფი კონოვნიცინი, რომლის ხრიკების წყალობითაც მოსამსახურეებს წაერთვა სისხლით მოპოვებული გაუმჯობესებული პირობები. 21 ნოემბერს გემებზე, გაფიცულ მოსამსახურეთა ნაცვლათ, მიღებულ იქნენ ახალი მოსამსახურენი, რუსთა კავშირის წევრები, რომლებიც ფინური დანებით, ხანჯლებით და ბრაუნინგებით არიან შეიარაღებულნი. თითქმის ყველას რუსთა კავშირის ნიშანი აკერია გულზე. კაპიტნები და მეხანიკები ძალიან აღელვებული არიან ასეთი გარემოებით და უარს ამბობენ ასეთი აშფოთებული ბრბოს ამარა ზღვაში მოგზაურობაზე. ჰაერი საშიშროებით არის მოცული, მოსალოდნელია დიდი შეტაკება მოხდეს.

**ციმბირში გაგზავნა.** როგორც „ნოვოე ვრემია" იუწყება, 20 ამ თვეს პეტერბურგიდან დილის მატარებლით ციმბირში გაუგზავნიათ მუშათა დეპუტატების საბჭოს 8 წევრი.

**გლეხთა კავშირის კრება.** ამას წინათ ანანიევის გლეხთა კავშირმა სიეზდი გამართა, რომელსაც დაესწრო 11 ვოლოსტის (საზოგადოების) წარმომადგენელი. თვის კრებაზე კავშირს სხვათა შორის გადაუწყვეტია, უარყოფილ იქნას აგრარული ტერორი (გადაწვა, გადაჩეხა და ეკონომიების გაძარცვა), რადგან ამით ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას ვერ მოვიპოვებთ, პირიქით დავქსაქსავთ გლეხთა ძალებსაო.

**პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობაც ამას ქვია.** სმოლენსკში ყველა მემარცხენენი: ს.-დ., ს.-რ. და „ბუნდი" შეერთებულან და ცდილობენ მემარცხენე კანდიდატის გაყვანას, რის გამოც ამ სამთა კავშირს ენერგიული აგიტაცია დაუწყია მცხოვრებლებში, მეტადრე ებრაელებში. მცხოვრებლებს ხალისიანობა თურმე დაეტყო და განცხადებები განცხადებებზე შეაქვთ საარჩევნო სიაში ჩასარიცხათ. ამით აღშფოთებული პირველი ნაწილის ბოქაული ნევიდოვიჩი, შეუკრებია ებრაელები და შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს: „თქვენ, ებრაელებო, მე შემდეგ რჩევას მოგცემთ:—ნუ ეხეთებით იქ, სადაც თქვენი საქმე არ არის. თქვენ ხომ იცით, რომ სმოლენსკი თქვენ საბინადრო არ შეადგენს. ჩვენ ჯერ-ჯერობით ამ გარემოებას ლმობიერებით ვუყურებთ, მაგრამ თუ თქვენ არ დაიშლით და საარჩევნო ბილეთს მოითხოვთ, მასთან ერთათ აქედან წასასვლელ ბილეთსაც მიიღებთ. აირჩიეთ, რომელიც გინდათ: გინდა უარი თქვით თქვენ საარჩევნო უფლებებზე, გინდა აქედან დაიკარგეთო". ებრაელები საშინლათ შეუწუხებია ამ გარემოებას და აღარ იციან რა გზას დაადგენ.

**შიმშილობა.** როგორც გაზეთი „ტულსკი კრ." გადმოგვცემს, სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ჭვავი დამშეულ სოფლებისათვის, ნახევარზე მეტი გაფუჭებული გამოდგა. 10 ნოემბრამდის ტულის გუბერნიაში 153 ვაგონი მისულა ჭვავით დატვირთული. ამათში სავარგებელი მარტო 76 ვაგონი გამოდგარა, დანარჩენი კი არაფრათ თურმე არ მოიხმარება.

### რუსეთის პრესა.

გაზეთი „ვეკი" ეხება რა იმ შემაძრწუნებელ შანტაჟისტობას, რომელიც ჩაიდინა სტოლიპინის მთავრობამ ლიდვალის საქმეში, ამბობს:

„ლიდვალის ისტორია გამომჟღავნდა, რადგანაც ის უსირცხვოთ და უცერემონიოთ ხდებოდა. მაგრამ განა ეს ისტორია არსებითათ განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს? განა სხვა ფორმით და სხვა სახით ის ყოველგან ყოველთვის არ ხდება? განა ყველა ჩვენი უწყებები არ არის განთქმული სახაზინო ფულების გაფლანგვით? და განა ლიდვალის ოპერაციასთან ერთათ, არ ხდება სხვა მრავალი ამისთანა ოპერაციები? გამომჟღავნება ყველა ამ ოპერაციებისა ნიშნავს მთელი თანამედროვე წყობილების გამომჟღავნებას".

მაგრამ რას შვრება მთავრობა? მთელი წყობილების ცოდვებს ის ცალკე პირებს ახვევს თავზე. ცხადია, რომ მხოლოდ არსებული წყობილების ძირიან-ფუძიანათ აღმოფხვრით შეიძლება ბოლო მოეღოს ასეთ შანტაჟებს.

* *

იგივე გაზეთი ამბობს:

„ჯერ დამშვიდდება, მერმე რეფორმები—აი სამინისტროს დევიზი.

დუმის გარეკის შემდეგ აგერ ოთხი თვე გადის. მთ-რობის ოფიციოზები ირწმუნებიან, რომ ქვეყანა დამშვიდდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, არავითარ რეფორმების შემოღებაზე არ ფიქრობენ."

რა არის ამის მიზეზი? რატომ მთავრობა არ ასრულებს თავის დაპირებას თუ კი, როგორც ის ამტკიცებს, სახელმწიფო უკვე დამშვიდებულია?

„მთელი მოქმედება სამინისტროსი—ამბობს გაზეთი,—ცხადათ ამტკიცებს, რომ მართალია მემარცხენე პარტიები, როდესაც ისინი ამბობენ, „რომ თავისუფლებას მუდამ აძლევენ მხოლოდ ძალდატანებით, დამშვიდების დროს კი ის უკანვე მიაქვთ".

კარგია, რომ ბურჟუაზიულ მწერლებმა შეიგნეს ის აზრი, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება ხალხის მიერ უფლებების ხელში ჩაგდება. ამდენ ხანს კი ისინი სულ იმას გაიძახოდენ, რომ „საზოგადო აზრის" შექმნით, მშვიდობიანი განვითარებით შესაძლებელია ალვირწახსნილ მთავრობაზე გამარჯვება. რევოლიუცია ასწავლის.

## უცხოეთი

**პარიჟი.** დეპეშით ატყობინებენ „რუსკოე სლოვოს": მენდელსონი აქ არის და სცდილობს რუსეთის ფასიანი ქაღალდების აწევას.

თუ კი ფასების აწევამ დიდხანს გასტანა, სესხი უზრუნველყოფილ შეიქმნება. თუმცა მენდელსონი ძალიან მდიდარია, მაგრამ მარტო მას გაუჭირდება მთელი აქციების შესყიდვა. ამ მხრით მას ფარულათ რუსეთის სახელმწიფო ბანკი ეხმარება. ამბობენ, როცა რუსეთის აქციების აწეული ფასი ერთ დონეზე შეჩერდება, საფრანგეთის ფინანსისტები ეცდებიან ხელიდან გაიტანონ რუსეთის ფასიანი ქაღალდები და მაშინ დიდი უბედურება დაატყდება თავს ეხლანდელ სპეკულიანტებს, რომლებიც განგებ უმატებენ ფასს რუსეთის აქციებზე.

**იაპონია და შეერთებული შტატები.** იაპონიასა და შტატებ-შორის ძალიან გაიჭიმა საბელი. თუმცა რუზველტი ძალიან სცდილობს მშვიდობიანათ დააგვირგვინოს ამტყდარი განხეთქილება, მაგრამ საქმე თან და თან ძნელდება. განხეთქილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კალიფორნიის (ერთ შტატთაგანია) სკოლებიდან უმიზეზოთ დაითხოვეს ყველა იაპონის შეგირდები. იაპონიამ თავი შეურაცყოფილათ იგრძნო და დაკმაყოფილება მოითხოვა: კალიფორნია ვარზე დგას ჯერ-ჯერობით. ადვილათ შეიძლება, რომ საქმე იმამდის მივიდეს მით უმეტეს, რომ იაპონია მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა შტატების ძლიერებას. რუსეთიდან ტყვეების გამოშვებით მიღებულ მილიონებით იაპონიას ინგლისში და გერმანიაში დაუკვეთია კიდევ სამხედრო სურსათი. უკანასკნელი დეპეშები მეტის მეტათ საგულისხმო ამბებს იტყობინება. ლონდონიდან „ლოიდის სააგენტო" იუწყება, რომ სანდვიჩის კუნძულების გუბერნატორმა ცნობა გაუგზავნა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტსაო,—რომ იაპონიამ კუნძულზე 50,000 ათასი სათადარიგო ჯარის კაცი გადმოსხა და 10,000 გადმოსხმას ამ დღეებში აპირებს კიდევო. გუბერნატორის აზრით ომი ატყდება თუ არა, კუნძული უთუოთ იაპონიას დარჩებაო.

## დეპეშები
(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო)

26 ნოემბერი.

უცხოეთი.

დღეს დილით გარდაიცვალა ცნობილი კრიტიკოსი აკადემიკ. პროფესორი ფერდინანდ ბრუნეტიერი.

**პარიჟი.** არსებულ მდგომარეობის გამო მთავრობას აზრათ აქვს უარყოს ეპისკოპოზების წინადადება და გადასწყვიტა ის სასახლეები, სადაც ეპისკოპოზები დგანან, გააქირაოს: 28 ნოემბრიდან ჩამოართმევენ სახლებს ეპისკოპოზებს. მინისტრ პრეზიდენტმა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სარწმუნოების მინისტრებთან ერთათ, დაამტკიცა ცირკულიარი, რომლითაც აწვევენ პროკურორებს სასტიკი თვალყური ადევნონ 1881 წლის კანონის შესრულებას. ცირკულიარს ხვალ შეატყობინებენ პროკურორებს დეპეშით. ბრიანთან ესაუბრია ერთ ჟურნალისტს იმას შესახებ, რომ პაპამ აღუკრძალა სამღვდელოებას დაემორჩილონ სამოქალაქო კანონებს; ბრიანმა სთქვა, რომ უკეთუ სამღვდელოება დაემორჩილება კანონს, იმ შემთხვევაში ეკლესია არაფერს არ დაკარგავს, ხოლო უკეთუ არ დაემორჩილებიან, იმ შემთხვევაში კანონი სასტიკათ მოეპყრობა მათ. პაპა თავის თავს ატყუებს—სთქვა ბრიანმა—როცა ფიქრობს, რომ ეკლესია გამარჯვებული გამოვა სამოქალაქო ომიდანო.

**თეირანი.** 26 ნოემბრიდან შაჰი თანდათან უკეთ ხდება. პარლამენტი დაჟინებით თხოულობს მთავრობისგან დაუყოვნებლივ უპასუხონ, მოაწერს ხელს შაჰი კონსტიტუციაზე თუ არა? ყოველ დღე ათასი გირვანქა სტერლინგი იხარჯება ჯარის გასული დროის ჯამაგირის დასაკმაყოფილებლათ. ფულებს საზოგადო შემოწირულებით აგროვებენ.

27 ნოემბერი.

**თეირანი.** „დეილი მეილ"-ი იტყობინება სპარსეთიდან, რომ პროვინციებში არეულობაა, პრინც მოასულტანეს ბოროტმოქმედებით გამოწვეული. კოვეიტში და კერმანშიც არეულობაა. კოვეიტში ბლომათ შემოაქვთ იარაღი, კერმანში ძარცვა-გლეჯა გახშირდა. მაზრაში თავს დაესხნენ ევროპიელ ტურისტებს, გაძარცვეს და გაუშვეს. კერმანის გუბერნატორმა შეიარაღა ყველა მოსამსახურეები და ცნობილი მოქალაქეები, რადგან შაჰის სიკვდილს დღე დღეზე მოელიან და ამას კი უთუოთ აჯანყება მოჰყვება.

**ლონდონი.** გამოცხადებულია ახალი კანონი, რომლითაც დამქირავებლებმა პასუხი უნდა აგონ უკეთუ მოსამსახურეს რამე უბედურება შეემთხვა. მოსამსახურის სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრეები სამი წლის ჯამაგირს იღებენ, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 150 გირვანქა სტერლინგისა, უკეთუ მოსამსახურეს არც მშობლები ყავს და არც შვილები, იმ შემთხვევაში ხაზეინი 10 გირვანქა სტერლინგს იხდის დასამარხავათ. ახალი კანონის მიხედვით იმ მოსამსახურე ქალებს, რომლებსაც უკანონო შვილები ყავთ, ადგილიდან ითხოვენ. ხაზეინების უმრავლესობა ფიქრობს მოსამსახურეთა სიცოცხლის დაზღვევას.

**პარიჟი.** გაზეთ „რევიუ დიპლომატიკ"-ში დაბეჭდილია წერილი რუსეთის კრიზისზე. ავტორი ამბობს, რომ კრიზისიდან თავიდან ასაცილებლათ საჭიროა რუსეთმა მოუწოდოს საუკეთესო, ენერგიულ ძალებს, რომლებიც მზათ არიან თავი გასწირონ. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ კოკოვცევი თითქო განგებით დანიშნულია, რომ გადაჭრას საყურადღებო კითხვები. მან მოკიდა ხელი ფინანსების გაძღოლას იმ დროს, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო და მომენტი კრიტიკული იყო, შემდეგ სამსახურიდან გადაყენებისა, კოკოვცევმა ისევ დაიჭირა თავისი ადგილი როცა რევოლიუციამ იფეთქა, როცა საზოგადოების დაბალმა ნაწილმა ანარქიას მიჰყო ხელი და დაივიწყა კერძო საკუთრების პრინციპი, როცა ქვეყანა კიდევ უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. ასეთ გაჭირვებულ დროს კოკოვცევი ისე გაუძღვა ფინანსებს, რომ ყველა საჭიროება დააკმაყოფილა და ბირჟაზეც ისე არ დაცემულა.

**ლონდონი.** ლორდების პალატამ მიიღო მუშათა კავშირების შესახებ კანონ-პროექტი. გაზეთები ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ამ კანონ-პროექტის მიღებით ლორდებმა საშუალება მოუსპეს ქვედა პალატას უკიჟინოს მათ ლიბერალურ რეფორმების წინააღმდეგობა. ამასთანავე სოციალისტების გავლენა მუშათა პარტიაზე შესამჩნევათ სუსტდება. ყოველ შემთხვევაში მუშათა კავშირებმა გაიყვანეს სოციალისტები პარლამენტში, მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრებაში გაეტარებიათ მუშათა კავშირების შესახებ კანონპროექტი და არა იმიტომ, რომ სოციალიზმის შესახებ ქადაგება დაეწყოთ.

რ უ ს ე თ ი

**ბრიანსკი.** ბრიანსკის ქარხანაში მუშებმა მოინდომეს მიტინგის გამართვა. წარმოსთქვეს სიტყვები დუმისა და არჩევნების შესახებ. კაზაკების დანახვაზე ერთი ნაწილი შევიდა სამქანიკო სახელოსნოში. ბოქაულმა მოლაპარაკება გამართა მუშებთან და ბოლოს დაიშალნენ. მოკლული მუშის გვამის დასაფლავებაზე უწესოება მოხდა. ცხედრის გასვენების დროს რევოლიუციონურ სიმღერებს მღეროდენ. კაზაკებმა ალყა შემოარტყეს და პოლიციაში მიიყვანეს. იქ გადასწერეს და გაუშვეს.

**ქუთაისი.** შორაპანში მღვდელმა ქარცივაძემ შეატყობინა პოლიციას, რომ მის სახლში, რომელიც ტეხნიკუმმა დაიქირავა საქორწილოთ, ყუმბარები დატოვეს. ამავე დროს მიიღეს უსახელო „დანოსი". პოლიციამ გაჩხრიკა სახლი, იპოვნეს ორი იაშჩიკი და თვითონ დაუწყეს გამოთრევა, ყუმბარები აფეთქდა და ნახევარი სახლი დაანგრია. არავინ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** 27 ნოემბერს ვაჭრობის მინისტრის, მიწების მომწყობ-მეურნეობის მთავარ სამმართველოს უფროსის, სხვა და სხვა დაწესებულებების, ბირჟის კომიტეტების და ვაჭრების წარმომადგენლების თანდასწრებით გაიხსნა პირველი ვაჭრების და სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის სიეზდი. თავადმა ვასილჩიკოვმა დიდის თანაგრძნობით მიეგება სიეზდს და უსურვა გამარჯვება.

— საუფლისწულო მამულების მთავარ სამმართველოს საგლეხო ბანკთან შეთანხმებით შესდგა სამუდამო კომისია საუფლისწულო მამულების საგლეხო ბანკზე გადაცემის დროს უთანხმოების გადასაწყვეტათ. ფინანსთა მინისტრი შინაგან მინისტრთან შეთანხმებით შესაძლებლათ სცნობს მიეცეს გლეხებს სესხი საგლეხო ბანკიდან, სანადელო მიწების დაგირავებით, ყოველგან სადაც კი ბანკი არსებობს, გარდა პოლონეთის მხრის და კავკასიის გუბერნიებისა.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შეშინებულმა, რომ დიდძალი პური დროზე ვეღარ მოაწოდოს დამშეულ გუბერნიებს, იყიდა პურით მოვაჭრეებისგან ოთხი ათას ას ორმოცდა ათი ვაგონი პური, იმ პირობით, რომ რკინის გზის სადგურებზე მიიტანონ. ხელშეკრულობის თანახმათ ეს პური 20 ნოემბრამდე უნდა გაეგზავნათ შემდეგ გუბერნიებში: ორენბურგისაში 500 ვაგონი; პენზისაში—850 ვაგონი; სამარისაში—400, სიმბირსკისაში—2400 ვაგონი.

**მოსკოვი.** გუშინ რამდენიმე ადგილას მოხდა ოქტომბრისტების კრებები. რამდენიმე კრებაზე კადეტები გამოვიდენ. სუშჩევსკის რაიონში ილაპარაკა გოზვერტერმა; ტვერის და იაკიმანის რაიონებში თავმჯდომარემ ნება არ მისცა გარეშე პირთ ლაპარაკის. კადეტებმა ტესლენკომ, კასენეცკიმ და შჩეპკინმა პროტესტი განაცხადეს. სამოვნიჩესკი რაიონში კადეტებს ნება არ მისცეს ლაპარაკის. ლეფორტის რაიონში კრებიდან გაგდებაც მოინდომეს. პრეჩისტენსკის კრებაზე ილაპარაკა მაკლაკოვმა და ბელიაევმა, რომლებმაც დაამტკიცეს პარლამენტარიზმის მავნებლობა დღევანდელ დღეს. მილიუკოვმა პასუხი გასცა, რითაც კრების უკმაყოფილება გამოიწვია.

**პეტერბურგი.** (ოფიციალურათ). გაზეთებში მოთავსებულია წერილები რომლებითაც შეცდომით ხსნიან რკინის გზათა მთავარ სამმართველოს ცირკულიარულ დეპეშას, რკინის გზის მოსამსახურეთა ლეგალურ საზოგადოებებში შესვლის შესახებ. ცირკულიარის ნამდვილ მნიშვნელობის აღსადგენათ სამინისტრო საჭიროთ სცნობს განაცხადოს, რომ ის თავის დღეში არ ატანდა ძალას მოსამსახურეებს შესულიყვნენ ამა თუ იმ საზოგადოებაში და კავშირებში, წინააღმდეგ, ზომებს ღებულობდა უფროსების შესახებ, რომ მათ არ დაეტანებინათ ძალა დაბალ მოსამსახურეებისთვის. ამ მხრით ამ ბოლო დროს ბევრი საჩივრები ისმოდა იმის შესახებ, რომ სდევნიდენ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც „რუსთა კავშირში" შევიდენ. ამიტომ სამინისტრომ საჭიროთ სცნო განმარტა, რომ არ დაუშლათ მოსამსახურეებისთვის ლეგალურ საზოგადოებებში შესვლა. თან ისიც განმარტა, რომ „რუსთა კავშირი" ლეგალური საზოგადოებაა და ამიტომ ამ საზოგადოებაში შესვლა ყველა მოსამსახურეს შეუძლია. ამასთანავე სამინისტრო საჭიროთ სცნობს განაცხადოს რომ მას შინაგან სამინისტროდან არავითარი განმარტება არ მიუღია, რომ რკინის გზების უფროსებისთვის ეხლავე ეცნობათ, რომ მათ ხელი არ შეუშალონ რკინის გზის მოსამსახურეების ისეთ კავშირებში და საზოგადოებებში შესვლას, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო არაა. მათ რიცხვში „რუსთა კავშირში".

### სიკვდილით დასჯა
26 ნოემბერი.

**ლომჟა.** გუშინ სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს ვლადისლავ პონიატოვსკი.

27 ნოემბერი.

**ვარშავა.** სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს იან ლზვიაკი და სტანისლავ ვოიცეხოვსკი, ძარცვა-გლეჯისთვის.

### თავდასხმა და დაჭერა
26 ნოემბერი.

**მოსკოვი.** მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის სადგურ ვოსკრესენსკიზე რამოდენიმე ბოროტგამზრახველს უნდოდა საქონლის მატარებლიდან საქონლის მოტაცება. სამი მათგანი დაიჭირეს.

27 ნოემბერი

**ოდესა.** ვოლკოვის ქუჩაზე მოკლეს მეწაღე ბონჩი, მკვლელი პატარა ბავშია. მკვლელობის მიზეზი ბუნდის მოთხოვნით ფულის მიცემაზე უარის თქმაა.

**ტროიცკი.** საოლქო სასამართლომ 1500 გადასახლებულთა რწმუნებულების შვიდი წლის წინათ თავის ნებით კირგიზების ადგილების დაჭერისთვის მიუსაჯა ზარალის გადახდა კირგიზების სასარგებლოთ.

27 ნოემბერი.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** საოლქო სასამართლოში დაიწყო სორმოვოში შეიარაღებულ აჯანყების საქმე. ბრალს სდებენ 16 კაცს 100 და 101 მუხლის ძალით, გამოწვეულია 28 მოწმე.

რედაქ.-გამომცემელი **ი. ოტიაშვილი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" თფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65.